ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

## გიორგი გამსახურდია: „ცოტნეს თურქეთში მკურნალობისთვის ივანიშვილსა და გახარიას მადლობას ვუხდი“

გვ.2



ორშაბათი, 6 იანვარი, 2020 №3 (8267) ფასი: 60 თეთრი

# „მაჟორიტარების ადგილი ციხეშია!“

## „გახარიას გადაყენება სწორი არ იქნება“

გვ.3



## ვის შეიწყალებს პრეზიდენტი ზურაბიშვილი

დღეს, 6 იანვარს, ბრიფინგი გაიმართება

გვ.2



## ლევან ალაფიშვილი: „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ივანიშვილი დანიშნავს“

გვ.4





## „ოცნების“ პოლიტიკამ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მხრივ კრახი განიცადა“

თეონა აქუბარდია: „20 ივნისის ღამემ რუსეთს დაანახა, რომ საქმე ისე მარტივად არ არის, როგორც ეგონა... ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად დაწერილი სტრატეგია არ გვაქვს“

გვ.4

გვ.5



## „წელს არჩევნების ჩატარების საკითხი საეჭვოა“

ვახტანგ მაისაია: „კობახიძის დაწერილ კონსტიტუციას რა ვუთხარი“

გვ.3



## ანზორ აბრალავა: „პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსება უნდა აიკრძალოს“

„ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანები უკვალოდ იკარგებიან“

ISSN 1987-9385

**2** თბილისში 8 წლის გოგონა გარდაიცვალა

**5** ქართველი მადრიდში მე-4 სართულიდან გადახტა

**2** ლავროვი თბილისში ჩამოდის?

**6** ტრამპი: „თუ ირანი თავს დაგვესხმება, 52 ირანულ ობიექტს დავარტყამთ!“ ირანის პარლამენტი: „სიკვდილი ამერიკას!“



# გიორგი გამსახურდია: „ცოტნეს თურქეთში მკურნალობისთვის ივანიშვილსა და გახარიას მადლობას ვუხდი“

ცოტნე გამსახურდიას ძმამ, გიორგი გამსახურდიამ, ტვიტერში დაწერა:

„მოგესალმებით, მეგობრებო, მადლობა ყველას გვერდში დგომისათვის! რამდენადაც ცნობილია თურქი ექიმებისაგან, ცოტნეს მდგომარეობა სტაბილურია და იმედისმომცემი. აქვე მინდა გაგაცნოთ ჩემი პატარა განცხადება, რომელსაც ვტვირთავ ფაილის სახით“.

განცხადებაში გიორგი გამსახურდია წერს:

„სალამი, მეგობრებო!

მოკლედ, ასეთი ამბავია, ჩემი ძმა, ცოტნე გამსახურდია, თბილისში ადგილობრივი სამედიცინო მუშაკებისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ადგილზე ამოწურული შესაძლებლობების შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, სპეციალური თვითმფრინავით გადაყვანილ იქნა თურქეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთ ცნობილ და ძლიერ კლინიკაში მკურნალობის გასაგრძელებლად. დაინტერესებულმა პირებმა რომ იცოდნენ, ყველა საჭირო სამედიცინო პროცედურა შესრულებულ იქნა ქართული სახელმწიფოს მიერ. შემდეგში თურქეთში გამგზავრება და თურქეთში მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაჭრილ იქნა ფონდი „ქართუს“ მიერ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ოჯახის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და პრემიერ გიორგი გახარიას (რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს). ასევე მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, შსს-ს და სუს-ის ხელმძღვანელობას, ჯანდაცვის სამინისტროს და ყველა ამ პროცესში ჩართულ პირს (ვამაყობ, რომ ამ პროცესში ჩართული პირების დიდი ნაწილი ჩემი უახლოესი მეგობრები არიან).

რაც შეეხება იმ რამდენიმე კრიმინალსა და გარეწარს, დარწმუნებული ვარ, ქართული მართლმსაჯულება გასცემს სათანადო პასუხს.

03.01.20, ქ. ვარშავა“

# ვის შეიწყალებს პრეზიდენტი ზურაბიშვილი

## დღეს, 6 იანვარს, ბრიფინგი გაიმართება



დღეს, 6 იანვარს, 12:00 საათზე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პრეზიდენტის საშობაო შეწყალებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს.

როგორც ცნობილია, ასევე საზოგადოებას კითხვები აქვს პრეზიდენტთან დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალების თაობაზე.

შეგახსენებთ, რომ 31 ოქტომბერს, სინოდის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს, საქართველოს პრეზიდენტთან შეწყალების თაობაზე შუამდგომლობა გაეწიოს.

დეკანოზ მამალაძეს 2017 წლის 5 სექტემბერს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

# თბილისში 8 წლის გოგონა გარდაიცვალა

## „ყურადღებას იპყრობდა სუნთქვის უკმარისობა ცხელების ფონზე“



თბილისში 8 წლის გოგონა გარდაიცვალა, რის გამომწვევ მიზეზსაც ექსპერტიზა ადგენს. „პრივატ კლინიკის“ ექიმი-რეანიმატოლოგი ოლიკო გახელაძე აცხადებს, რომ ბავშვი 4 იანვარს, დილას გარდაიცვალა.

– პაციენტი შემოვიდა ავადობის სამდღიანი ანამნეზით. შემოსვლისას ყურადღებას იპყრობდა სუნთქვის უკმარისობა ცხელების ფონზე. დაწყებული მკურნალობის ფონზე, მდგომარეობა სწრაფად პროგრესირებდა. განვითარდა რესპირატორული დისტრესის კლინიკა. პაციენტი გადაყვანილ იქნა ხელოვნურ ვენტილაციაზე.

მიუხედავად ამისა, მდგომარეობა ძალიან გართულდა. გამოიხატა პოლიორგანული უკმარისობა და დღეს დილას დასრულდა ლეტალური გამოსავლით. გაგზავნილია მასალა გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისათვის. „ღორის გრიპი“ არ დასტურდება. მოზარდი თითქმის ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ჩვენს კლინიკაში, – განაცხადა საქართველოს პირველ არხთან საუბრისას ოლიკო გახელაძემ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე აღნიშნავს, რომ 8 წლის ბავშვის მდგომარეობა მძიმე იყო, თუმცა იმის დადასტურებისგან თავს იკავებს, იყო თუ არა გრიპის შემთხვევა.

– ჩვენი ეპიდემიოლოგები არიან კონტაქტზე და სწავლობენ ამ საკითხს. ეს გახლავთ მძიმე ბაქტერიული პნევმონია. ვირუსული კვლევები, სამწუხაროდ, არ არის ჩატარებული და ვერ დავადასტურებთ, იყო ეს გრიპი თუ არა. კლინიკურად იყო მძიმე ფილტვების ანთების მიმდინარეობა, რომელიც გართულდა, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

# ლავროვი თბილისში ჩამოდის?



– კოორდინაციაში ვართ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სამდივნოსთან და მინისტერიალის ყველა დეტალი ორგანიზაციის წესდებისა და პროცედურების მიხედვით შეჯერდება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მაისში დაგეგმილ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეხვედრაზე საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მოსალოდნელ ვიზიტთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განუცხადეს.

როგორც საგარეო უწყებაში აცხადებენ, სამინისტრო მინისტერიალის საორგანიზაციო საკითხებზე კოორდინაციაშია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სამდივნოსთან.

– საქართველო, როგორც ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა უმასპინძლებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეხვედრას მაისში. მინისტერიალის საორგანიზაციო საკითხებზე კოორდინაციაში ვართ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სამდივნოსთან და მინისტერიალის ყველა დეტალი ორგანიზაციის წესდების და პროცედურების მიხედვით შეჯერდება, – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

# სად წავიდა ბიუჯეტის კუთვნილი 61 მილიონი

## „საბა კონსთრაქშენს“ ხელისუფლებასთან გარიგებაში ადანაშაულებენ

ბიუჯეტის კუთვნილი 61 მილიონი, 3-ჯერ გადავადებული პროექტის ჩაბარების თარიღი და სპორტული კომპლექსის გარეშე დარჩენილი სპორტსმენები.

რუსთავი 2-ის ცნობით, კომპანია, რომელიც ბათუმში სპორტკომპლექსს აშენებს, „საბა კონსთრაქშენია“, რომელსაც ოპოზიცია ხელისუფლებასთან კავშირში ადანაშაულებს და კორუფციის ნიშნებს ხედავს.

ოპოზიციაში ამბობენ, რომ კომპანიის მესვეურებს შეცდომები მხოლოდ იმიტომ ეპატიათ, რომ ისინი „ქართული ოცნების“ შემომწირველები არიან.

– ეს პროექტიც ნათელი მაგალითია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უპასუხისმგებლობისა და უმაქნისობის. ეს პროექტი ძალიან დიდი ხნის წინ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დღემდე ვერ მოაბეს თავი. როდესაც ხელშეკრულება გრძელდება არაერთხელ და კომპანიას არ ეკისრება სანქცია, კითხვის ნიშნებს ბადებს, ხომ არ გვაქვს კორუფციასთან საქმე და მეორე, ასეთი კომპანიები გვევლინებიან „ქართული ოცნების“ შემომწირველებად, – აცხადებს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მირდატ ქამადაძე.

ბათუმში სპორტკომპლექსის მშენებლობა 2019 წლის მაისში უნდა დასრულებულიყო.

მშენებლობის ჩაბარების ვადამ ჯერ სექტემბრამდე, შემდეგ კი 31 დეკემბრამდე გადაიწია, თუმცა მშენებლობის დასრულება ვერ მოხერხდა. როგორც სამშენებლო კომპანიაში აცხადებენ, პროცესის გაჭიანურება ტექნიკურმა პრობლემებმა გამოიწვია. კომპანიის ინფორმაციით, სამუშაოები 2020 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

განსხვავებული პოზიცია აქვს დამკვეთს, შპს „სტადიონს“, რომელიც აჭარის მთავრობას ეკუთვნის.

შპს „სტადიონის დირექტორი „კურიერთან“ აცხადებს, რომ სამშენებლო სამუშაოები ბათუმის სპორტკომპლექსში თებერვალში დასრულდება, კომპანიას კი თითოეულ გადაცილებულ დღეზე ჯარიმა დაეკისრება.

# პაშინიანი: „სომხეთი არც ანტიირანულ და არც ანტიამერიკულ ქმედებებში არ ჩაერევა“



სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ პაშინიანი ტურისტებთან ერთად სევანის ტბის სიახლოვეს მთაზე ავიდა.

ამის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

თოვლიან მთაზე ასვლის შემდეგ პაშინიანმა ირანსა და შეერთებულ შტატებს ვითარების დეესკალაციისკენ მოუწოდა.

პრემიერის თქმით, ორივე ქვეყანა სომხეთისთვის მეგობარია და ერევანი არც ანტიირანულ და არც ანტიამერიკულ ქმედებებში არ ჩაერევა.

# იური, მაგული, მალხაზ და ნათია ნებიერიძეებს მიწას ჩამოართმევენ



შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობის გამო საავტომობილო გზების დეპარტამენტს მოქალაქეების უძრავი ქონების ექსპროპრიაციის (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით) უფლება მიენიჭა.

„შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი იწყება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე საავტომობილო გზის 185 კმ-ზე და სრულდება იმავე საავტომობილო გზის 200 კმ-ზე, არგვეთაში. აღნიშნული მონაკვეთი პირდაპირ უერთდება არგვეთას კვანძს, რომელიც წარმოადგენს ზესტაფონი-ქუთაისის საავტომობილო გზის გაგრძელებას და ნაწილობრივ გადაფარავს ე-60 ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორს.

პროექტის განხორციელების მიზნით დეპარტამენტის დაკვეთით მომზადდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული უძრავი ქონების მესაკუთრეებისთვის ქონების ღირებულებისა და საკომპენსაციო თანხების ანაზღაურების საკითხი,“ – აღნიშნულია ბრძანებაში.

თუმცა, უძრავი ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ დეპარტამენტის მიერ რამდენიმე მოქალაქესთან ვერ იქნა შეთანხმება მიღწეული.

კ ე რ ძ ო დ, საუბარია იური ნებიერიძის, მაგული ნებიერიძის, მალხაზ ნებიერიძისა და ნათია ნებიერიძის თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2.256 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე (მიწის ნაკვეთის საერთო ფართი 3.615 კვ.მ). შესაბამისად, აღნიშნული ქონება ექსპროპრიაციას დაექვემდებარა.



# მოსკოვში ანრი ჯერგენია გარდაიცვალა

მოსკოვში გარდაიცვალა ანრი ჯერგენია, რომელიც 2001-2002 წლებში ე.წ. აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა, მანამდე კი ე.წ. გენერალური პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა.

„სპუტნიკის“ ინფორმაციით, ჯერგენიას გარდაცვალებას, ასევე, ყოფილი ე.წ. პრემიერ-მინისტრი ვიაჩესლავ ცუგბა ადასტურებს.

ჯერგენიამ დაახლოებით ერთი წლის წინ „სპუტნიკთან“ გაიხსენა 25 წლის წინ მოსკოვში ხელმოწერილი „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ზომების შესახებ განცხადება“, რომელიც, მისი თქმით, თავად შეადგინა და აფხაზეთს წარმატება მოუტანა.

ის აცხადებდა, რომ დოკუმენტი ძალიან ვერაგულად იყო შედგენილი, რასაც ქართული მხარე ვერ მიხვდა.

# ილიკო გურაშვილს დეიდის, ირინა ხაილოვას მკვლელობისთვის პატიმრობა შეუფარდეს



წნორში დეიდის, 50 წლის ირინა ხაილოვას მკვლელობის ფაქტზე დაკავებულ მამაკაცს ბრალი წაუყენეს.

26 წლის ილიკო გურაშვილს გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და ძარცვას ედავება, რაც მოკლულის სახლიდან ძვირფასეულობის წაღებას უკავშირდება.

გამოძიება 109-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს მხოლოდ მკვლელობის ნაწილში აღიარებს.

გუშინ, 5 იანვარს, თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მარინე ცერცვაძემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ილია გურაშვილი პატიმრობაში დატოვა.

პროცესზე დაცვის მხარემ ბრალდებულის მდგომარეობაზე ისაუბრა.

ადვოკატ გია ფარადაშვილის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, რაც გასათვალისწინებელია.

საქმეზე მომდევნო სასამართლო სხდომა 26 თებერვალს, 12:00 საათზე ჩაინიშნა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სანდრო ბრეგაძე: „მაჟორიტარების ადგილი ციხეშია!“

## „გახარიას გადაყენება სწორი არ იქნება“



ნონა ცაბაძე

**არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.**

***– ბატონო სანდრო, ვრცელდება ინფორმაციები, რომ „ქართული ოცნება“ სერიოზული საკადრო ცვლილებებისთვის ემზადება. ასე მარტივად მოიშორებს ივანიშვილი გახარიას და მას თალაკვაძით ჩაანაცვლებს? რა გველოდება 2020 წელს?***

– 2019 წელი კი იყო მძიმე წელი, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ 2020 წელი ბევრად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე 2019. ფაქტობრივად, 2020 წელი იქნება პოლიტიკურად გარდამტეხი, ქვეყანა წავა ან სერიოზული განვითარების გზით, ან ჩაეფლობა არეულობის ქაოსში, რომლიდანაც გამოსავალი რამდენიმე წელი არ იქნება.

ამ ყველაფერს არ სჭირდება დიდი პოლიტოლოგიური წიაღსვლები. ეს ყველაფერი ხელისგულზე ჩანს. მე, უბრალოდ, ვისურვებდი ერთ რამეს, რომ 2020 წელი იყოს მშვიდობიანი და არ მოხდეს ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება. თუმცაღა ძალიან დიდია პროცენტული შანსი იმისა, რომ სამოქალაქო დაპირისპირება განვითარდეს.

***– თქვენ ხედავთ ამის საფრთხეს?***

– ამის საფრთხე იმაზე რეალურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მე ამ პერიოდს შევადარებდი 1991 წლის ბოლოს და 1992 წლის დასაწყისს. მართალია, დღეს ავტომატიანი ხალხი არ დარბის ქუჩაში, მაგრამ ბევრიც არ უკლია აქამდე.

***– ეს სიტუაცია ვის აწყობს, ოპოზიციას თუ ხელისუფლებას?***

– ხელისუფლება ხშირად არის არაადეკვატური, გასულია მომსახურების ზონიდან. ამით კი ხელისუფლება აძლევს საბაბს იმ ძალებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან ქვეყანაში ქაოსითა და არეულობით, რომ ეს პროცესები დაიწყონ.

ქვეყანაში მთავარი მადესტაბილიზებელი ფაქტორი არის ნაციონალური მოძრაობა და მისი ბოკერიას განაყოფი. ეს არის ის ძალა, რომელიც მთელი ამ ბოლო 7 წლის განმავლობაში მუდმივად იყო დაინტერესებული ქაოსური პროცესების დაწყებით. დღეს კი მათ დაუდგათ ამის შანსი, ყველაზე ადვილი შესაძლებლობა, რომ თავიანთი მზაკვრული მიზნები განახორციელონ.

***– ხელისუფლებაც აძლევს მათ საბაბს, რომ ასე მოიქცნენ?***

– როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს ისეთ რამეებს ურჩევენ, რომლებიც არის რეალობისგან მოწყვეტილი და ხშირ შემთხვევაში ემსახურება იმ ადამიანების ინტერესებს, რომლებიც მას ამას ურჩევენ და არა – ქვეყნის ინტერესებს. ეს მლიქვნელების კასტა ივანიშვილს ყველა პროცესს წარმოუჩენს ძალიან ლაითად.

***– სულ კეთდება შეფასებები, რომ ივანიშვილი ინფორმაციულ ვაკუუმშია. რატომღაც არ მჯერა ამის, რომ ივანიშვილი სხვისი აზრების გათვალისწინებით იღებდეს გადაწყვეტილებებს და თავად არ იცოდეს, რა ხდება ქვეყანაში. გარემოცვა თუ არ აწვდის ინფორმაციას, ოჯახის წევრები ხომ მაინც ჰყავს? ყველა ინფორმაციულ ვაკუუმშია?***

– ძალიან ძნელია, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ჩასწვდე ღრმად, როცა ხალხთან მუდმივი კომუნიკაცია არ გაქვს. ბიძინა ივანიშვილს ვერ ექნება ეს კომუნიკაცია თავისი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ამიტომ ის ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა იმ ადამიანებს, რომლებიც არიან მისი მრჩევლები და აწვდიან ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ამ ინფორმაციას აწვდიან, დაკავებული არიან პირადი ცხოვრების მოწყობით. ამიტომ ისინი თავიანთი ხელმძღვანელის გუნებაგანწყობის გაფუჭებისკენ ნაბიჯს არ გადადგამენ.

***– რა გამოდის, არც ტელევიზიებს უყურებს?***

– ტელევიზიები რომელია ობიექტური?! არის სამთავრობო ტელევიზიები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში ხოტბას ასხამენ ხელისუფლებასა და ხელისუფალს და არიან ნაციონალური მოძრაობისა და ბოკერიას ტელევიზიები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში აძაგებენ ხელისუფლებას.

არც ერთია ობიექტური და არც მეორე. პირდაპირ ვთქვათ, რომ საქართველოში არ არსებობს ობიექტური ტელევიზია. ყველა ტელევიზია პარტიულია.

***– რას იტყვით საკადრო ცვლილებებსა და იმ მოარულ ხმებზე, რომ ივანიშვილი გახარიას მოხსნას უპირებს?***

– არა მგონია, რომ არჩევნების წინ გახარიას გადაყენება იყოს პრაგმატული და ადეკვატური ნაბიჯი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გახარიას აქვს საკმაოდ სერიოზული მხარდაჭერა ისეთ მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიც არის სამეგრელო. იქაური ამომრჩევლების რიცხვი ყველა სხვა რეგიონის ამომრჩევლის რიცხვს ბევრად აჭარბებს. აქედან გამომდინარე, გახარიას გადაყენება ალოგიკური იქნება.

მეორე მხრივ, ამ ხელისუფლების ბუნებას ვერ გაიგებ. კაცმა არ იცის, როდის რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. მე თავად ამ ხელისუფლების წევრი ვიყავი და ამ ხელისუფლებაში არ ხდება ლოგიკის მიხედვით არც დანიშვნა, არც გადაყენება.

***– აბა რის მიხედვით ხდება, რა ნიშნით, რა პრინციპით?***

– პირადი სიმპათია-ანტიპათიით წყდება ხშირ შემთხვევაში საკითხები. შეიძლება, ადამიანი ერთ დღეს თეთრ ცხენზე იჯდეს, დაახლოებით ერთ კვირაში კი გადმოაგდონ და მიწასთან გაასწორონ. ამ ხელისუფლების ბუნება ამოუცნობია. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებები მიიღება სპონტანურად.

ეს იმის ბრალიც არის, რომ მართვის მექანიზმი და სისტემა, ფაქტობრივად, არ არსებობს. აქ გადამწყვეტია ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ის და მისი მრჩევლები. ეს გადაწყვეტილებები მინისტრთა კაბინეტსა და მის ხარისხსაც ეტყობა. პირდაპირ ვთქვათ, რომ განსაკუთრებით ეკონომიკურ გუნდში ჩვენ გვყავს ძალიან დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობებზე.

პარლამენტიც დაკომპლექტებულია რეალური მუქთახორებისგან, რომლებსაც წლების განმავლობაში არაფერი უკეთებიათ, გარდა იმისა, რომ მოიწყონ პირადი კეთილდღეობა.

***– ვის გულისხმობთ?***

– თუნდაც ამ მაჟორიტარებს, დღეს რომ დადიან გაბღენძილები, საახალწლო ინდაურებივით გაფხორილები და აცხადებენ, პატრონი სჭირდება რაიონს და ამიტომ უნდა იყოს მაჟორიტარიო. ერთი მაჟორიტარი დამისახელეთ, რომელსაც რამე აქვს გაკეთებული თავის მაჟორიტარულ ოლქში! ეს მილიონერები დაკავებული არიან იმით, რომ გახდნენ მილიარდერები, ერთ ლარსაც კი არ ხარჯავენ თავიანთი რაიონის კეთილდღეობაზე!

***– ანუ მაჟორიტარული სისტემა გასაუქმებელია?***

– არ ამარტო მაჟორიტარული სისტემაა გასაუქმებელი, არამედ ეს მაჟორიტარები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მისაცემი, რადგანაც ისინი არიან ჩვეულებრივი დამნაშავეები, ბიუჯეტის ქურდები, მლიქვნელები და მექრთამეები.

ეს ადამიანები არათუ პარლამენტიდან, არამედ საზოგადოებიდანაც კი უნდა იყვნენ გარიყულები. ავიღოთ თუნდაც კახა ოქრიაშვილი, მაჟორიტარების ერთ-ერთი ლიდერი, გაფხორილი რომ დაიარება. კახა ოქრიაშვილი ბანდიტია.

***– რატომ, რას ერჩით?***

– როგორ თუ რას ვერჩი?! ეს არის ჩვეულებრივი ბანდიტი, რომლის ადგილიც არის ციხეში! პირდაპირ ასე დაწერეთ. ამ ადამიანმა თავისი ფარმაცევტული კომპანიის საშუალებით დააგროვა მილიონები და რის ხარჯზე?! იმის ხარჯზე, რომ პენსიონერებს 300-400%-ით ძვირს ახდევინებს წამლებში.

თურქეთში ვნახე მედიკამენტი, რომელიც, ლარის ეკვივალენტით, 8-10 ლარი ღირს და ჩვენთან, იცით, რა ღირს?! 50 ლარი! აი, ასეთი ადამიანია მაჟორიტარი და მაჟორიტარულ სისტემაზე და რაღაც მაღალ მატერიებზე გველაპარაკება ეს პირწავარდნილი ბანდიტი.

აი, ეს არის მაჟორიტარების უმრავლესობის სახე, თორემ ოქრიაშვილთან პირადი პრობლემა კი არ მაქვს. ის ჩვეულებრივი ქორვაჭარია და პარლამენტი მას საკუთარი ბიზნესის მფარველობისთვის სჭირდება.

ასეთ ხალხს რა უნდა პარლამენტში?! მეორე მხრივ, ხელისუფლებაა დამნაშავე, თურქეთში რომ წამალი 8 ლარი ღირს და აქ 50 ლარად ყიდიან. ხელისუფლებას სძინავს ამ დროს?! რა თქმა უნდა, არ სძინავს!

***– ისინიც დიდ მოგებას იღებენ ამ ყველაფრიდან?***

– რა თქმა უნდა. მე არ ვიცი, კონკრეტულად ვინ უზის ოქრიაშვილს წილში, მაგრამ ფაქტია, რომ ზემოდან მფარველობენ. მას სასათბურე პირობები აქვს შექმნილი.

– მაჟორიტარები ცალკე იბრძვიან, ცალკე ოპოზიცია ითხოვს საარჩევნო კანონის შეცვლას, ხელისუფლება კი დათმობას არ აპირებს. რას უნდა ველოდოთ?

***– „ქართულ ოცნებას“ სერიოზული პრობლემები აქვს, ძალიან გაუჭირდება ხმების აღება. ვერც ერთი გათვლით ის ვერ შეძლებს კოალიციური მთავრობის გარეშე ხელისუფლებაში მოსვლას.***

– ანუ ვერც პროპორციულით და ვერც შერეული სისტემით „ოცნება“ ერთპიროვნულად არჩევნებს ველარ მოიგებს?

– ვერ მოიგებს და საერთოდ ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ მოიპოვებს არჩევნებში უმრავლესობას კოალიციის გარეშე!

არ არსებობს დღეს საქართველოში ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხალხის ისეთი ტოტალური მხარდაჭერა აქვს, რომ უმრავლესობით მოვიდეს.

# ანზორ აბრალავა: „პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსება უნდა აიკრძალოს“

## „ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანები უკვალოდ იკარგებიან“



**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.**

მარიამ მჭედლიშვილი

***– უცხოელი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ 2020 წელი ძვრების წელიწადი იქნება საქართველოსთვის. დიდ ცვლილებებსა და პოლიტიკაში ახალი ძალების შემოსვლას გვპირდებიან ქართველი ასტროლოგები. სიახლეებს კანონზომიერებაც მოითხოვს. თქვენ რას იტყვით?***

– ცვლილებები, ძვრები, განვითარება ქვეყანას მართლაც სჭირდება. დღეისთვის მასშტაბური პოლიტიკური ცვლილებების საფუძველი ჯერ არ ჩანს. წელს არჩევნები უნდა გაიმართოს. ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ახალ ძალებს, რომლებიც არჩევნებში თავიანთ სიტყვას იტყვიან. იმ ოპოზიციამ, რომელსაც ხალხი გვერდით არ დაუდგა, გადაკეტა გზა ახალი ძალებისთვის.

***– ოპოზიციამ როგორ გადაუკეტა გზა სხვა ძალებს?***

– ამათ შემყურე მოქალაქეებს პოლიტიკოსების დანახვა აღარ უნდათ. ეს ოპოზიციონერები წლების განმავლობაში ტივტივებენ პოლიტიკის ზედაპირზე. ისინი ყოველთვის მოქმედებენ სხვა სახელმწიფოებისა და საკუთარი ანგარებიანი ვიწრო ინტერესებით. მათ ქვეყნისთვის კარგი არაფერი გაუკეთებიათ.

გასულ წელს ბევრი აქცია გამართეს, მაგრამ ხალხი ვერ აიყოლიეს. წინა წლებში თუ რევანშისტული მოქმედებებით გამოირჩეოდა ნაციონალური მოძრაობა, ბოლო დროს სხვები მის გარშემო გაერთიანდნენ. ამ გაერთიანებას საზოგადოებამ უარი უთხრა.

ადამიანებს არც ის უნდათ, რომ პარტიები ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ. ამაში მათ ვეთანხმები. პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსება უნდა აიკრძალოს. პარტიებმა თავი შეინახონ საწევროებით ან შემოწირულობებით. არ მესმის, რატომ უნდა იყოფოდნენ პარტიები კვალიფიციურებად და არაკვალიფიციურებად და პირველ კატეგორიას რატომ უნდა ჰქონდეს დაუმსახურებელი პრივილეგიები.

რომელ პარტიას აქვს პროგრამები ყველა სფეროში? რომელი მათგანი ზრუნავს განათლებაზე? ბოლო კვლევებით, საქართველო განათლების დონით ბოლოდან მესამე ადგილზეა. ამ მხრივ უკან მივიწევთ. ამაში ამ ხელისუფლებასაც ვადანაშაულებ. მას მძიმე მემკვიდრეობა ერგო, თუმცა მან მდგომარეობა ვერ გამოასწორა. ოპოზიციურ პარტიებსაც არა აქვთ სწორი ხედვები ამ სფეროში.

***– ბახტაძის პრემიერობისას განათლება ეროვნულ იდეად გამოცხადდა. დაიწყო საუბარი რეფორმაზე. შეიძლება თუ არა, რეფორმად ჩაითვალოს გამოსაშვები გამოცდების გაუქმება, ეროვნული მისაღები გამოცდების კორექტირება და პენსიონერი მასწავლებლების მასობრივად გაშვება სკოლებიდან?***

– არანაირი რეფორმა ეს არ არის. ყველაზე საშინელი მაინც შედეგია. შედეგად ვიღებთ განათლების დონის დაწევას. რაც დრო გადის, მით უფრო უარეს განათლებას იღებენ ბავშვები.

ამის გამოსწორება სწორ კონცეფციას შეუძლია. ევროპის სახელმწიფოებში პარტიებს კარგად აქვთ დამუშავებული ეს საკითხები. ისინი განათლებას დიდ დროს უთმობენ. ავიღოთ, თუნდაც, ბრიტანელი კონსერვატორები და ლეიბორისტები. საქართველოს კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიების შედარება მათთან არ შეიძლება. ჩვენი პოლიტიკური სპექტრი განცხადებებსა და მოქმედებებს ნეგატივზე აგებს. იმიტომ ვართ მუდმივ ჭაობში და ქვეყანას ვერ ვავითარებთ.

***– განათლების დონის დაწევაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება.***

– დიახ. ხელისუფლებას ნორმალური მრჩევლებიც არ ჰყავს. აკადემიურ წრეებს განათლების სამინისტრო არ ეკონტაქტება. ისეთი ფლაგმანების წარმომადგენლებთან მაინც გამართონ კონსულტაციები, როგორებიც არიან თსუ, ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტები. დავსწრებივარ სხდომებს, სადაც ავტორიზაცია-აკრედიტაციის საკითხები განიხილება.

***– აქციებსაც შევეხოთ. მალხაზ მაჩალიკაშვილის კარვის აღებამ აქტივისტები ქუჩაში იანვრის პირველ დღეებშიც გამოიყვანა.***

– ეს შემთხვევა დაკავშირებულია კონკრეტული ადამიანის ბედთან. ადამიანები მაჩალიკაშვილს თანაუგრძნობენ და იცავენ მის უფლებებს, თუმცა პოლიტიკოსების მხრიდან არაერთხელ შემინიშნავს მისი ტრაგედიით სპეკულაცია.

ჩვენთან დემოკრატიის თემასაც ცუდად იყენებენ. სპეკულაცია იყო ჩვენი სახელოვანი ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის თემაზეც. ვულოცავ ვაჟა გაფრინდაშვილს გათავისუფლებას! მინდა, თქვენი პოპულარული გაზეთის მკითხველის, მათ შორის, ხელისუფლების ყურადღება მივაპყრო ერთ მნიშვნელოვან გარემოებას – ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანები უკვალოდ იკარგებიან.

***– ამის შესახებ მონაცემები გაქვთ?***

– ბუნებრივია. გვარებს ვერ დავასახელებ. მაქვს ინფორმაცია, რომ უშიშროების ორგანოები ახდენენ ზეწოლას ადამიანებზე. არის მათი გაქრობის შემთხვევები. ზოგი მათგანი ბრუნდება, ზოგი – ვერა. ოკუპაციის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გააქტიურდნენ უშიშროების სამსახურები. ისინი ავიწროებენ და ჩაგრავენ აფხაზებსაც და ოსებსაც. უფრო მეტი ინფორმაცია ცხინვალის რეგიონზე მაქვს. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხალხსაც უნდა უქომაგოს. ეს ადამიანები წნეხის ქვეშ იმყოფებიან. მათი უსაფრთხოება არ არის დაცული.

***– 2019 წელს გაიზარდა ოკუპირებული რეგიონების ინტეგრაცია რუსეთთან?***

– რაც დრო გადის, უარესობაა. შარშან რუსეთის შემოტევა ძლიერი იყო ასევე დანარჩენ საქართველოში. არც რუსეთსა და არც სხვა არაკეთილმოსურნეებს არ აწყობთ მასშტაბური პროექტების განხორციელება საქართველოში.

ნუ იფიქრებთ, რომ ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი მხოლოდ განათლებას ეხება, წყალტუბოს აღმშენებლობა კი – მხოლოდ ტურიზმსა და მკურნალობას და მხოლოდ წყალტუბოელების დასაქმებას. ეს საკითხები დიალექტიკურად განსახილველია. მათი ხორცშესხმა ნიშნავს საქართველოს დაწინაურებას ბევრ სფეროში.

საქართველოს მტრებს ეს არ აწყობთ. ამიტომ გვიწყობდნენ ვარდების რევოლუცია 2-ს ე.წ. ოპოზიციის მონაწილეობით.

ეს მცდელობა სრული ფიასკოთი დამთავრდა. სამწუხაროდ, მსგავსი მცდელობები კიდევ არის მოსალოდნელი.

# „ოცნების“ პოლიტიკამ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მხრივ კრახი განიცადა“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა მთავარი გამოწვევების წინაშე იყო საქართველო 2019 წელს თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით? რას გაუმკლავდა ხელისუფლება და რას — ვერა? რა გამოწვევებია მოსალოდნელი 2020 წელს და მოსალოდნელია თუ არა კიდევ უფრო მწვავე ვითარება, ვიდრე იყო 2019 წელს? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ თანადამფუძნებელი თეონა აქუბარდია საუბრობს.**



***— თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში რომელ საკითხებს გამოყოფდით, რომლებმაც 2019 წელს თავი დაგამახსოვრათ?***

— დავიწყოთ თავდაცვის სფეროში მომხდარი პოზიტიური ამბებით. თავდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი იყო ის მხარდაჭერა, რომელიც საქართველოს ჰქონდა პარტნიორების მხრიდან, იქნებოდა ეს ნატოს თუ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის მხრიდან. ამ კონტექსტში არ შეიძლება ხაზი არ გაესვას საქართველოს მხარდაჭერის აქტს, რომელიც 2019 წელს მიიღეს და ასევე იმ გაზრდილ ბიუჯეტს, რომელიც გამოყოფილი იქნება საქართველოსთვის ამერიკის მხრიდან.

აშშ ახორციელებს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი დახმარებაა იმისთვის, რომ საქართველოს ჰქონდეს საკუთარი თავდაცვის ძალები, რომელიც მაღალ დონეზე იქნება მომზადებული. ერთი მხრივ, ეს პროგრამა და, მეორე მხრივ, ამერიკის მხრიდან გაზრდილი დაფინანსება ამ მიმართულებით არის მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენა.

ჩვენ გვქონდა 2019 წელს ერთობლივი სწავლებები, რაც ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია ამ მხარდაჭერის მხრივ. მნიშვნელოვანი კომპონენტია ის მხარდაჭერაც, რომელიც საქართველოს აქვს აშშ-ის მხრიდან. მხარდაჭერის აქტში ცალსახად მნიშვნელოვანია ის, რომ ის ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს, აშშ-ის მხრიდან ვერ მიიღებენ ფინანსურ დახმარებას.

ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილი, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებსა და პრინციპებს, ხოლო მეორე მხრივ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით.

თავდაცვის მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტროს გაზრდილი ბიუჯეტი და სოციალურ პაკეტზე აქცენტის გაკეთება. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ღირსეულ პირობებში მსახურობდნენ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები. შესაბამისად, ეს მიმართულება შეიძლება პოზიტიურ კონტექსტში იყოს განხილული.

ქვეყნის უსაფრთხოებას რაც შეეხება, ჩვენი პარტნიორების დახმარებისა და მხარდაჭერის მიუხედავად, რუსეთი აგრძელებს ზეწოლას როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თუ საინფორმაციო ელემენტების გამოყენებით. სწორედ ამას ეწოდება ჰიბრიდული ომის ტაქტიკა.

ჩვენ ვნახეთ 20 ივნისის შემდგომ განვითარებული პროცესები, როდესაც რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსთან პირდაპირი ავიამიმოსვლა, რამაც გარკვეული პრობლემები წარმოშვა ტურიზმთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან შემცირდა ტურისტთა რაოდენობა, საქართველოში ტურისტთა საერთო რაოდენობა მაინც გაიზარდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ეს ცალსახად ზეწოლის განხორციელება იყო რუსეთის მხრიდან საქართველოზე, რათა საქართველო დაესაჯათ იმის გამო, რომ მის მოქალაქეებს ჰქონდათ პროტესტი გავრილოვის ვიზიტის გამო.

***— ჩვენ რამდენად ადეკვატურად ვხვდებით ასეთ გამოწვევებს? ახსენეთ უსაფრთხოებასთან არსებული გამოწვევები და ალბათ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ვაჟა გაფრინდაშვილის თემაც.***

— რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ სწორედ 20 ივნისიდან იწყება რუსეთის მხრიდან გაძლიერებული ზეწოლა საქართველოზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გამოწვევები ადრეც იყო და ჩვენ გვაქვს ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აქამდეც არღვევდა ადამიანის უფლებებს, 20 ივნისის შემდეგ ეს მოულოდნელი მოვლენა იყო, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მხრიდან იყო ვითარების ნორმალიზების სურვილი რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით და მათი მხრიდანაც ჰიბრიდული ტაქტიკა საკმაოდ წარმატებით მუშაობდა საქართველოში, იქნებოდა ეს რუსული პროპაგანდა თუ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ რუსეთის ინტერესების შესაბამისად.

20 ივნისის ღამე იყო სრულიად მოულოდნელობა და მათ კიდევ ერთხელ დაანახა ის, რომ ასე იოლად არ არის საქმე საქართველოში, როგორც რუსეთს ეგონა. შესაბამისად, რუსეთმა გააძლიერა ზეწოლა. ოკუპირებული რეგიონების მარიონეტულმა რეჟიმებმა ჩაკეტეს გადასასვლელი პუნქტები და ვხედავთ, რა მდგომარეობაშია ახალგორში საოკუპაციო ხაზს მიღმა მყოფი მოსახლეობა.

გრძელდება მცოცავი ოკუპაცია. ჩორჩანაში რაც ხდებოდა, ესეც ამის გამოვლინებაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მზაობა, მას არ უპასუხა რუსეთმა ადეკვატურად და, მეორე მხრივ, დაანახა საზოგადოებას, რომ საქართველოს მთავრობის ამ პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა.

ახლა მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაიაზროს ის შეცდომები, რომლებიც ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობაში და ჩამოაყალიბოს ახალი სტრატეგია, რათა, ერთი მხრივ, ქვეყნის ეროვნული ინტერესები დაიცვას და, მეორე მხრივ, დახმარება გაეწიოთ იმ ადამიანებს, რომლებიც საოკუპაციო ხაზს მიღმა არიან. საოკუპაციო ხაზს მიღმა ან საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანებისთვის ახალი მიდგომები უნდა იყოს შემუშავებული და მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს არხები ამ მხრივ.

## თეონა აქუბარდია: „20 ივნისის ღამემ რუსეთს დაანახა, რომ საქმე ისე მარტივად არ არის, როგორც ეგონა... ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად დაწერილი სტრატეგია არ გვაქვს“

საერთაშორისო თანამეგობრობა იყო საკმაოდ აქტიური და მობილიზებული ვაჟა გაფრინდაშვილის საქმესთან დაკავშირებით და, რომ არ ყოფილიყო მათი აქტიურობა და მკაფიო განცხადებები, ეს შედეგები არ დადგებოდა, როდესაც მას ჰქონდა მისჯილი 1 წელიწადი და 9 თვე.

***— ჩვენმა ხელისუფლებამ ხომ არ შეასუსტა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობის მხრივ გზავნილები, თუნდაც ნატოს კარზე მუდმივად კაკუნი და ხომ არ დაინახეთ ის, რომ 2019-ში კიდევ უფრო შენელდა ამ გზაზე სიარული?***

— საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას რაც შეეხება, დიახ, ჩვენ ვხედავთ ამას, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია საერთაშორისო კონტექსტი, რომელიც აქვთ როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს.

გაზრდილია ანტიდასავლური პროპაგანდა, რომელსაც საქართველოში ახორციელებს რუსეთი. მეორე მხრივ, ვნახეთ ფეისბუქის ბოლო განცხადება, რომელიც ამხელდა ხელისუფლებას ტროლებისა და ბოტების გამოყენებაში, ასევე ის კვლევები, რომლებიც ატლანტიკური საბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარდა და რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ სახელისუფლებო გვერდები ასევე ავრცელებენ ანტიდასავლურ პროპაგანდას.

ეს მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის ეროვნული ინტერესების კუთხით. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება არის როგორც საზოგადოების არჩევანი, ასევე კონსტიტუციაში არის ჩანაწერი ამის თაობაზე.

ხელისუფლება არ აღიარებს, რომ მასთან არის დაკავშირებული ის ჯგუფები, რომლებიც ანტიდასავლურ პროპაგანდას ავრცელებენ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე მოკვლევა გაკეთდეს და ხელისუფლებამ იმის იმიჯი მაინც შექმნას, რომ ამ ყველაფერს ემიჯნება.

სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგალითად, თალაკვაძეს ამის საწინააღმდეგოდ არანაირი განცხადება არ გაუკეთებიათ და ამის წაყრუება არის დიდი შეცდომა ხელისუფლების მხრიდან, იმიტომ, რომ არჩეული ხელისუფლება უნდა ატარებდეს იმ კურსს, რომელიც კონსტიტუციაშია ჩაწერილი და რომელიც უმრავლესობის მხრიდან არის მხარდაჭერილი.

ის ბრალდებები, რომლებიც ისმის ხელისუფლების მისამართით ანტიდასავლურ ნარატივთან დაკავშირებით, ხელისუფლებისთვის დიდი რისკის შემცველია იმ მხრივ, რომ ეს მას შეუქმნის პრობლემებს სწორედ 2020-ის არჩევნებზე.

დღეს უფრო მეტი კითხვა არსებობს ხელისუფლებასთან ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსთან დაკავშირებით. დღეს კიდევ უფრო მეტი მტკიცებულებები არსებობს იმისა, რომ სახელისუფლებო ჯგუფები გარკვეულწილად ეწინააღმდეგებიან ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანს. ამასთან, არც ის პოლიტიკური განცხადებები უნდა დაგვავიწყდეს, რომლებიც კეთდება ქვეყნის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

***— ამ კონტექსტში, პირველ რიგში, პრეზიდენტის განცხადებები მახსენდება.***

— მეც ზუსტად პრეზიდენტი მყავს მხედველობაში. საქართველოს პრეზიდენტი ყოველთვის აკეთებს აქცენტს ევროკავშირში ინტეგრაციაზე, ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი ოფიციალურ დონეზე ჯერ არ აქვს გაკეთებული. სალომე ზურაბიშვილი საერთოდ არ საუბრობს ნატოში გაწევრიანებაზე, რაზეც დიდი ხანია გაკეთებული გვაქვს ოფიციალური განაცხადი.

ეს არის დამაზიანებელი ქვეყნის ინტერესებისა. ეს არის ხელისუფლების მიდგომების მაჩვენებელი, იმის მიუხედავად, რომ ცდილობენ სალომე ზურაბიშვილთან გამიჯვნას, თითქოს ის არ არის მათი პოლიტიკური გუნდის ნაწილი და მხოლოდ მათი მხარდაჭერით სარგებლობდა. მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს საპრეზიდენტო არჩევნებზე მთელი სახელისუფლებო ლიდერების ბანერები, სადაც ზურაბიშვილის ვიზუალიც კი არ იყო გამოსახული. გვახსოვს ის მილიონები, რომლებიც დაიხარჯა ივანიშვილის მიერ სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებისათვის. რაც უნდა ეცადონ, მოხდეს დისტანცირება „ოცნებასა“ და ზურაბიშვილს შორის, ამას არავინ დაიჯერებს.

დღეს ჩვენ ვხედავთ მთავარ პრობლემას იმ მიმართულებით, რომ ქვეყანას არ გააჩნია რამე დაწერილი სტრატეგია, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს თავისი ეროვნული და სუვერენული ინტერესები. აქ საუბარია ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფაზე, საგარეო ვექტორზე, ქვეყნის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე.

მეორე მხრივ, გვესმის არეული გზავნილები, რომლებიც იმაზე მიანიშნებს, რომ მკაფიო არც ხედვა არსებობს და არც გეგმა, თუ როგორ უნდა შეძლოს საქართველომ თავისი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა. პრეზიდენტისა თუ „ქართული ოცნების“ ცალკეული ლიდერების განცხადებები აბსოლუტურად სხვა რამეზე მეტყველებს.

2020 წელს არ იქნება მარტივი ვითარება არჩევნების ბრძოლის ასპარეზზე და, ამასთან ერთად, მოსალოდნელია პრობლემები.

მთავარი გამოწვევებია დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებითაც. კეთდება განცხადებები პარტნიორების მხრიდან და იწერება სტატიები დასავლური პრესის ფურცლებზე. ღიად დაიწყო საუბარი ივანიშვილის მხრიდან სახელმწიფოს მიტაცების მცდელობასა და დემოკრატიის უკუსვლაზე, რომლითაც საქართველო წლების განმავლობაში გამოირჩეოდა რეგიონში.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატია და ჩვენი ევროატლანტიკური მისწრაფებები ერთმანეთთან დავაკავშიროთ, იმიტომ, რომ საქართველოს დასავლურ სივრცეში შესვლა სურს ღირებულებით კონტექსტში და ჩვენ ვიზიარებთ იმ ღირებულებებს, რომლებზეც დგას დასავლეთი, ამავდროულად, გვსურს, რომ ჩვენი უსაფრთხოება და კეთილდღეობა უზრუნველვყოთ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებით.

თუ ხელისუფლება არ გააუმჯობესებს დემოკრატიის ხარისხს, რომელიც რეგრესშია შემჩნეული, ეს ადეკვატურად აისახება ჩვენს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე.

გამოწვევა საკმაოდ ბევრია 2020-თვის. ისინი იმაზე მეტი იქნება, ვიდრე იყო 2019 წელს და, შიდაპოლიტიკური დისკურსის მიუხედავად, ეს იქონიებს გავლენას საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებებზე.

# ლევან ალაფიშვილი: „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ივანიშვილი დანიშნავს“



ნათია ხურცილავა

**იურისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობისა და ქვეყნის გენერალური პროკურორობის პრეტენდენტებზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, უზენაეს სასამართლოში მოსამართლის 6 ვაკანტურ პოზიციაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო ახალი სიის შემუშავება. მიუხედავად ვენეციის კომისიის რეკომენდაციისა, რომ შემდეგ ხელისუფლებასაც დარჩეს ეს შესაძლებლობა, პროცესი გრძელდება. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?***

— ბევრად უფრო გონივრული იქნებოდა, თუ ხელისუფლება სასამართლოსთან მიმართებით მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდა სწორედ ჩვენი დასავლელი პარტნიორების ოფიციალური განცხადებების შემდეგ.

იმ 6 კანდიდატთან დაკავშირებით პარლამენტი ბევრად უფრო ფრთხილი იქნება. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კი დაიწყო პროცედურები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაიწყო და წერტილიც დაისვა.

იგივე მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით. ხელისუფლება მის დანიშვნას იჩქარებს.

***— ვინ შეიძლება გახდეს თავმჯდომარე? როდესაც აწ უკვე ყოფილი გენერალური პროკურორი შალვა თადუმაძე პარლამენტში გასაუბრებას გადიოდა, მან ეს შესაძლებლობა არ გამორიცხა.***

— ორი კანდიდატი დასახელდა — შალვა თადუმაძე და გიორგი მიქაუტაძე. პოლიტიკური მოცემულობის კვალობაზე რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, როგორ დალაგდება „ქართულ ოცნებაში“ შიგნით და რა გადაწყვეტილებას უკარნახებენ შემდეგ უკვე უზენაეს სასამართლოს და გააფორმებენ, ვერ გეტყვით.

***— რატომ? შეიძლება, ბოლომდე არ იყოს გადაწყვეტილი თადუმაძის თავმჯდომარეობა?***

— არაფერს გამოვრიცხავ.

***— გიორგი მიქაუტაძემ განაცხადა, რომ არ მოიაზრებს თავს თავმჯდომარის პოზიციაზე.***

— ვერ გეტყვით. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ სრულიად სხვა ვინმეც გამოჩნდეს. აქ მთავარი სხვა რამეა — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ივანიშვილი დანიშნავს და არა — უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა, რომელსაც მოგვიანებით გააფორმებინებენ ამ გადაწყვეტილებას.

***— ასევე ვაკანტურია გენერალური პროკურორის თანამდებობა. კანდიდატები უკვე სახელდებიან, ამბობენ, რომ პროკურატურის შიგნით მოხდეს შერჩევა. თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?***

— აქ ცოტა უფრო განსხვავებულად არის საქმე. კანდიდატები საპროკურორო საბჭოსთან გადიან პროცედურებს. შესაბამისად, ალბათ გაზაფხულამდე გაგრძელდება ეს პროცესი.

გენერალური პროკურორიც „ქართული ოცნების“ მიერ იქნება შერჩეული ყოველგვარი სიახლის გარეშე. იქნება პირადი ნდობით აღჭურვილი პირი.

***— ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ ხელისუფლება საარჩევნო სისტემას არ ცვლის, კარგი იქნებოდა ოპოზიციისთვის გენერალური პროკურორის პოსტის შეთავაზება.***

— ასეთი ნაბიჯი გონიერი, ჭკვიანი პოლიტიკოსების პირობებში იქნებოდა გადადგმული, მაგრამ სწორედ გონიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსების დეფიციტი რომ გვაქვს ქვეყანაში, ამიტომ ამაზე საუბარი ზედმეტიც კი იქნებოდა.

ჩვენი დემოკრატია, ჩვენი პოლიტიკა სრულიად განსხვავდება ამ ყველაფრისგან. ეს გადაწყვეტილება, ეს ნაბიჯი სულ სხვა პოლიტიკურ კულტურასა და პოლიტიკურ დონეს, ასევე პოლიტიკურ ტრადიციას მოითხოვს როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

# „წელს არჩევნების ჩატარების საკითხი საეჭვოა“

## ვახტანგ მაისაია: „კობახიძის დაწერილ კონსტიტუციას რა ვუთხარი“

გულიკო ბალაძე

2019 წელს აჯამებს და 2020 წლის შესაძლო პოლიტიკურ პროცესებზე „ახალ თაობასთან“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, 2019 დაძაბული წელი იყო. როგორც ჩანს, ასევე დაძაბულად გაგრძელდება 2020 წელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში.***

– რეალური დაძაბულობის კერები უკვე გამოჩნდა.

***– თქვენი შეფასებით, რა იყო მნიშვნელოვანი, რამაც თქვენი ყურადღება მიიქცია?***

– ძალიან რთული წელი იყო. განსაკუთრებით, გასული წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში დაიწყო სერიოზული პოლიტიკური კრიზისი და ვითარება გართულებისკენ წავიდა. ამას გარკვეული ძალებიც ხელს უწყობდნენ, რასაც მოჰყვა როგორც საშინაო, ასევე საგარეო გამოწვევების მთელი სპექტრი, მცოცავი ოკუპაციისა და ვაჟა გაფრინდაშვილის დატყვევების ფაქტი. სერიოზული კიბერშეტევა განხორციელდა და დღემდე დაუდგენელია, ვინ იდგა ამ კიბერშეტევის უკან. ყოველ შემთხვევაში, არავინ იცის, რა მოხდა.

ასევე იყო გავრილოვის ღამე, რომელმაც გართულებების მთელი სპექტრი გამოიწვია. 2019-ში მოხდა აზერბაიჯანთან ურთიერთობების გართულება დავითგარეჯთან დაკავშირებით. ანაკლიის პროექტის ჩავარდნა იყო ცუდი ფაქტი. გუშინ ეკონომიკის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა ანაკლიის პორტის ტენდერის ჩავარდნის შესახებ, რაც სერიოზული გამოწვევაა.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა საქართველოს ძალიან ბევრ სიკეთეს მოუტანდა არა მარტო აფხაზეთთან კომუნიკაციის, არამედ ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხითაც. ანაკლიის პორტის მშენებლობის ტენდერის ჩავარდნა ინვესტიციების შემოსვლაზე იმოქმედებს, ასევე ბიზნესრეიტინგის კუთხით სერიოზული ჩავარდნის მიზეზი შეიძლება გახდეს. წლის მეორე ნახევარში დაწყებულმა კრიზისმა სერიოზული გავლენა იქონია ტურიზმზე. ყველაფერთან ერთად, დაუდგენელი და გაურკვეველია არჩევნების ბედი.

***– რამე დადებითი თუ გახსენდებათ?***

– დადებითია ევროსაბჭოს თავმჯდომარეობა, რაც საშუალებას გვაძლევს, საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი დღის წესრიგი გავატაროთ, უფრო აქტიურად ვიმუშაოთ ჩვენს პარტნიორებთან და ამ კუთხით ჩვენი საკითხი კიდევ უფრო წინ წავწიოთ. დადებითი მომენტი იყო ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების ფაქტი. ჩვენთვის ასევე დადებითი მომენტია ტრანსატლანტიკური და ტრანსადრიატიკული პროექტების განხორციელების დაწყება.

***– მე მგონი, ვითარება მაინც გავრილოვის ჩამოსვლამ გაართულა და მთელი 4-5 თვე კრიზისულად წავიდა.***

– კი ბატონო, რასაც ახლდა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. ეჭვქვეშ დგება არჩევნების ჩატარების საკითხი. გაურკვეველია, არჩევნები ჩატარდება თუ არა.

***– რატომ აყენებთ არჩევნების ჩატარების საკითხს ეჭვის ქვეშ?***

– არჩევნების ჩატარების საკითხი ეჭვის ქვეშ დგება. თუ ოპოზიცია და მმართველი ძალა ვერ შეთანხმდნენ, რა პრინციპებით ჩატარდება არჩევნები, არჩევნების ბედი ეჭვქვეშ დგება. თუ ოპოზიციასთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, მაშინ ამ არჩევნებს აზრი ეკარგება, რადგან არჩევნებში მხოლოდ მმართველი ძალა მიიღებს მონაწილეობას. ეს რამდენად იქნება სასურველი შედეგის მომტანი, მეორე საკითხია.

***– თუ ვერ შეთანხმდნენ, ოპოზიციური ძალების ბოიკოტს ელოდებით?***

– ყველა პოლიტიკური ძალა – გაერთიანებული ოპოზიცია, რომელთანაც არიან ბურჯანაძის პარტია, ლეიბორისტები და სხვები, მას პლუს ახალი მემარჯვენე ცენტრისტული ძალების გაერთიანება „ლელოსა“ და პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური გაერთიანებები. საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში სამი ძირითადი ოპოზიციური ცენტრი გაჩნდა. ესეც არ არის ცუდი. ასე თუ ისე, პოლიტიკური სპექტრი გამრავალფეროვნდა.

სამივე ოპოზიციური პოლიტიკური ცენტრი წინააღმდეგია, მმართველი პოლიტიკური ძალის თამაშის წესებით ითამაშოს და საარჩევნო მარათონში ჩაერთოს. თუ მაქსიმუმ მარტამდე საარჩევნო კანონთან დაკავშირებით კონსენსუსი არ მიიღწევა, ფაქტობრივად, არჩევნების ჩატარების საკითხი, შეიძლება, ეჭვის ქვეშ დადგეს. მარტიდან საარჩევნო კამპანია უნდა დაიწყოს.

***– თქვენი მოლოდინით, საარჩევნო სისტემაზე კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, შეიძლება, ხელისუფლება არაკონსტიტუციური გზით შეიცვალოს?***

– არა. მე ამაზე არ ვფიქრობ. კონსტიტუციურობა-არაკონსტიტუციურობაზე არ არის საუბარი. აქ საუბარია იმაზე, რომ ახალი კონსტიტუციით საპარლამენტო არჩევნებს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. ადრე ჩვენთან საპრეზიდენტო არჩევნებს ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა. სიმძიმის ცენტრი საპრეზიდენტო არჩევნებზე გადიოდა, რადგან საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა იყო.

***– პოლიტიკური სისტემის ცვლილებამ დადებითი შედეგი არ მოიტანა?***

– 2018 წელს მიიღეს ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები და კონსტიტუციამ, ფაქტობრივად, სიტუაცია არია. როდესაც კონსტიტუციის შექმნაში მხოლოდ იურისტები მონაწილეობენ და შესაბამისი პოლიტიკური სისტემების სპეციალისტები არ მონაწილეობენ, ისეთ კონსტიტუციას კარგი ბედი არ აქვს.

***– ასე რატომ ამბობთ?***

– კონსტიტუცია იურიდიული დოკუმენტი არ არის. კონსტიტუცია წმინდა პოლიტიკური დოკუმენტია. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია მთავარი კანონია, მას უნდა ადგენდნენ პოლიტოლოგები, პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტები და არა მხოლოდ იურისტები. ქვეყანაში როგორი იურისტები გვყავს, მოგეხსენებათ. არც თუ ისე მაღალი დონის იურისტები გვყავს.

კობახიძის დაწერილ კონსტიტუციას რა ვუთხარი. მეცნიერების არც ერთი დარგის სპეციალისტი კონსტიტუციის შექმნაში არ მონაწილეობდა, არც ერთი პოლიტოლოგი არ მიუწვევიათ კონსტიტუციის შექმნაში მონაწილეობისთვის. ამიტომაც მივიღეთ სავალალო შედეგი. არაპროფესიონალიზმის ზეიმია. პროფესიონა-



ლებს ყურადღება არ ექცევათ. ეს არის ქვეყნის ტრაგედია. აქედან მოდის ყველა უბედურება. პროფესიონალებს სათანადოდ არ ვაფასებთ.

***– თუმცა ახლა ამაზე საუბარი დაგვიანებულია, ცუდი თუ კარგი კონსტიტუციაა.***

– დიახ, კონსტიტუცია მიღებულია და საპარლამენტო არჩევნებს დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. პარლამენტი გახდა მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტი. 2020 წლის არჩევნებზეა დამოკიდებული საქართველოს შემდგომი განვითარების ბედი. ამ დროს დღესაც გაურკვეველია, არჩევნები როგორი წესით, რა პირობებითა და რა კუთხით ჩატარდება. ამ სამ საკითხზე პასუხი გაცემული არ არის და როგორ ვთქვა, არჩევნები ჩატარდება თუ არა.

თუ მხარეები, დავუშვათ, გაერთიანებული ოპოზიცია, „ლელო“ და პატრიოტთა ალიანსი, მმართველი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“ საარჩევნო სისტემაზე მარტამდე არ შეთანხმდნენ, ქვეყანა ღრმა კრიზისში შევა და არჩევნების ჩატარების საკითხი სათუო გახდება.

***– სამწუხაროდ, ქართველები შიგნით ვერასოდეს ვთანხმდებით და ამ შემთხვევაშიც პროცესში უცხო ქვეყნების ელჩები არიან ჩართული პოზიცია-ოპოზიციის მორიგებაში. წარმოგიდგენიათ, რომელიმე ჩამოყალიბებული ქვეყნის შიდა საქმეში ჩვენი ელჩი რომ ჩაერიოს?***

– რა თქმა უნდა, არ არის კარგი სიტუაცია. ჩვენს უცხოელ მეგობრებს პატივს ვცემ, მაგრამ ეს არის არაჯანსაღი პოლიტიკური კლიმატი.

***– იმედი არ გაქვთ, რომ ჩვენი უცხოელი პარტნიორი ქვეყნების, ამერიკის, ევროკავშირის ქვეყნების ელჩების ჩარევით მაინც მხარეებს შორის კონსენსუსი მიიღწევა?***

– მე დიდ პატივს ვცემ ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბედ რუთსა და ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელს, რომლებიც არ ერევიან ამ პროცესში. ისინი მხოლოდ მედიაციას ახორციელებენ. მათ მაღალი პოლიტიკური შეგნება აქვთ. ისინი ნამდვილად არ მოახვევენ თავს თავიანთ აზრს. ეს მათი ფუნქცია არ არის. ელჩებმა მედიაცია რომ იკისრეს, ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ. მათ შეძლეს, ეს ორი მხარე ერთი მაგიდის ირგვლივ დაესვათ.

მთავარია, მათ შორის კონსენსუსი შედგეს. მნიშვნელობა არა აქვს, არჩევნები რა სისტემით ჩატარდება. ისეთი ვითარება იქმნება, მე და თქვენ როგორი ტიპის არჩევნები გვაწყობს, მნიშვნელობა ეკარგება, რადგან ამაზე დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების შემდგომი ბედი. თუ არჩევნები ცალმხრივად ჩატარდა მხოლოდ ერთი პარტიის მონაწილეობით, თუ ყველა პოლიტიკურმა ძალამ არ მიიღო მონაწილეობა, ამ არჩევნებს ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება.

სააკაშვილმა 2008 წელს შექმნა ვითომოპოზიციური მარიონეტული ქრისტიან-დემოკრატიული პარტია თავისივე წიაღიდან და მისი მონაწილეობით ჩაატარა არჩევნები. იმდროინდელი პარლამენტის არჩევნები ისეთი მნიშვნელოვანი არ იყო, როგორიც დღეს არის.

***– თუმცა მაშინდელი პოლიტიკური კრიზისი მაინც ვერ დაიძლია, პირიქით, უფრო გამწვავდა და ქვეყანა ხანგრძლივ კრიზისში ჩაეფლო.***

– დიახ, კრიზისი 2012 წლამდე გაგრძელდა, სანამ არ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.

***– მე მაინც იმედი მაქვს, რომ კონსენსუსი მიიღწევა.***

– დავიტოვოთ იმედი. მთავარია, არჩევნები ჩატარდეს. როგორი სისტემით ჩატარდება, ამას მნიშვნელობა ეკარგება.

***– საინტერესოა, რა გავლენა ექნებათ საგარეო პოლიტიკურ რეალიებს ჩვენს ქვეყანაზე?***

– ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირებამ გამოიწვია ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის ჩავარდნა. ეს შემდგარი ფაქტია.

***– ჩინეთსაც აქვს გავლენა ჩვენს ქვეყანაზე, ამერიკასაც და, აქედან გამომდინარე, შეთანხმება ვერ მოხდა?***

– ბუნებრივია. ჩინეთ-ამერიკის დაპირისპირება საქართველოზეც აისახა.

***– ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირების ბრალია, თუ ანაკლიის კორსორციუმმა ვერ მოახერხა თანხების მოზიდვა და ინვესტორი ვერ იპოვა?***

– ანაკლიის კონსორციუმმა რატომაც ვერ მოიზიდა თანხები და ინვესტორები, ეს უკავშირდება ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირების არეალს. ფაქტობრივად, ორი მსხვილი კომპანია იყო დაინტერესებული – ამერიკული კორპორაცია „კონტი“ და ჩინური ენერგეტიკული კორპორაცია, რომელსაც შეეძლო სერიოზული თანხების მოზიდვა და ანაკლიის პროექტის განხორციელება.

წინასწარ შეთანხმებაც კი დადეს საქართველოს მთავრობასთან, რომ ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებდნენ, მაგრამ პომპეოს განცხადებამ, რომ თავი უნდა შეგვეკავებინა ჩინეთთან ურთიერთობისაგან, გავლენა იქონია. საბოლოოდ, ამერიკის კორპორაციაც გავიდა კონსორციუმიდან, ხოლო ჩინურ კორპორაციას არ მიეცა ამ პროექტში მონაწილეობის საშუალება. ეს არის ფაქტი.

კონსორციუმს თანხები და ინვესტორები როგორ უნდა მოეზიდა, როდესაც ამერიკული და ჩინური კორპორაციები განზე გადგნენ. ვის აინტერესებს ამ პორტის აშენება. რუსეთი თვითონ აშენებს ღრმაწყლოვან პორტს ყირიმსა და ტამანის ნახევარკუნძულზე. ევროკავშირს საქართველოში ღრმაწყლოვანი პორტის აშენება არ აინტერესებს. ამერიკასა და ჩინეთს აინტერესებდათ ამ პორტის აშენება, მაგრამ მათ შორის დაიწყო სავაჭრო და გეოპოლიტიკური ომი. ამან პირდაპირი ასახვა ჰპოვა ჩვენზე.

## 82 წლის იზოლდა ხელაძის მკვლელობისთვის 20 წლის ზ.დ. დააკავეს



პოლიციამ გურიაში მომხდარი 82 წლის იზოლდა ხელაძის მკვლელობა გახსნა. დაკავებულია ერთი პირი.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობისა და ქურდობის ბრალდებით 1999 წელს დაბადებული ზ.დ. დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში, საცხოვრებელ სახლში, 1941 წელს დაბადებული ი.ხ. გაგუდა, ხოლო ამავე საცხოვრებელი სახლის ეზოდან ავტომობილი მოიპარა. მოგვიანებით აღნიშნული ავტომობილი მიატოვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, – აცხადებენ შსს-ში.

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა გატაცებულ ავტომობილს მომხდარიდან მალევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალში მიაკვლიეს.

პოლიციამ ამავე სოფელში დააკავა ბრალდებული ზ.დ.

– დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ქურდობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე და 177-ე მუხლებით მიმდინარეობს, – აცხადებენ შსს-ში.

## ფოთის მერიაში მისმა თანამშრომელმა თავი ჩამოიხრჩო

ნიუპოსტის ცნობით, ფოთის მერიაში ერთ-ერთმა თანამშრომელმა მერიის შენობაში თავი ჩამოიხრჩო. მან თვითმკვლელობამდე წერილი დატოვა.

წერილი ამჟამად პოლიციაშია.

გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

## ჩოხატაურში 37 წლის გურამ გურგენიძემ თავი მოიკლა




ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურში მცხოვრებმა 37 წლის გურამ გურგენიძემ თავი მოიკლა.

ახალგაზრდა კაცმა სანადირო თოფით მოიკლა თავი.

– შეძრწუნებული ვართ, არ ვიცით, რა მოხდა. დილით გავიგე მომხდარის შესახებ. რატომ უნდა გაემეტებინა თავი, ვერ გეტყვით. შესანიშნავი ახალგაზრდა იყო, ჩამოყალიბებული პიროვნება, მშრომელი. დამწუხრებულია მთელი სოფელი, – უთხრა გურია ნიუსს მერის წარმომადგენელმა სოფელ გუთურში გიორგი პაიჭაძემ.

გარდაცვლილს მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია.

## ვარკეთილში საცხობში 59 წლის ქალი გარდაცვლილი ნახეს




ვარკეთილში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 59 წლის ქალი გარდაიცვალა. ის საცხობში მუშაობდა, სადაც 4 იანვარს გარდაცვლილი ნახეს.

მომხდარს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროშიც.

როგორც „კურიერს“ უწყებაში განუცხადეს, ქალის გარდაცვალების მიზეზი ჯერ-ჯერობით დაზუსტებული არ არის, თუმცა, შესაძლოა, მიზეზი სწორედ ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მიმდინარეობს ექსპერტიზა. ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.

## ქართველი მადრიდში მე-4 სართულიდან გადახტა

### ესპანეთში საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს

მადრიდში პოლიციამ საქართველოს 2 მოქალაქე ქურდობის დროს დააკავა.

მამაკაცები ერთ-ერთ სახლში შეიპარნენ. მეზობელმა სახლიდან ხმაური გაიგო. მან იცოდა, რომ მეპატრონეები შინ არ იმყოფებოდნენ და პოლიციაში დარეკა.

პოლიციამ ადგილზე მისვლის შემდეგ ქურდობის ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე დაიჭირა.

ერთ-ერთმა მამაკაცმა ფანჯრიდან გაქცევა ცადა – ის მეოთხე სართულიდან მეორეზე ჩავარდა და სხეულის დაზიანებები მიიღო.

## ვეძინის ქუჩაზე სახლს ცეცხლი გაუჩნდა

თბილისში, ვეძინის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ცნობით, ცეცხლი გავრცელდა იტალიური ტიპის საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის სასხვენო გადახურვაზე.

ადგილზე შეტყობინების მიღებისთანავე გამოცხადდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები.

ვეძინის ქუჩაზე მუშაობდა 9 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## გურჯაანში სატვირთო რამდენიმე მანქანასა და შენობას დაეჯახა

გუშინ, 5 იანვარს, გურჯაანის ცენტრში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და რამდენიმე მანქანას, ბოლოს კი ერთ-ერთ შენობას შეეჯახა.

შედეგად მსუბუქად დაშავდა ქვეითად მოსიარულე ახალგაზრდა ქალი.

თვითმხილველების ინფორმაციით, მძღოლმა სატვირთო ავტომობილის გაჩერება ვერ შეძლო.

ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

# ტრამპი: „თუ ირანი თავს დაგვესხმება, 52 ირანულ ობიექტს დავარტყამთ!“

## ირანის პარლამენტი: „სიკვდილი ამერიკას!“

3 იანვარს ირანელი გენერლის ქასემ სოლეიმანის აშშ-ის მიერ ლიკვიდაციის შემდეგ ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

4 იანვარს ირანის რევოლუციური გვარდიის ერთ-ერთმა მეთაურმა გოლამალი აბუჰემზამ განაცხადა, რომ ირანმა ამერიკული სამიზნეების იდენტიფიცირება დიდი ხნის წინ მოახდინა.

– ჩვენთვის ადვილად ხელმისაწვდომია 35 ამერიკული სამიზნე რეგიონში და ასევე თელ-ავივი, – აღნიშნა მან.

გაეროში ირანის ელჩმა მაჯიდ თახთ რავანჩიმ კი თქვა, რომ გენერალ ქასემ სოლეიმანის მოკვლა იგივეა, რაც ირანისთვის ომის გამოცხადება.

მისივე თქმით, პასუხი სამხედრო ქმედებაზე სამხედრო ქმედებაა.

– სოლეიმანის მკვლელობა ნებისმიერი თვალსაზრისით არის სახელმწიფო ტერორიზმის გამოხატულება და, როგორც კრიმინალური აქტი, წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს საერთაშორისო კანონმდებლობის ფუნდამენტური პრინციპებისადმი, – განაცხადა რავანჩიმ.

პრეზიდენტ ტრამპის თქმით, თუკი ირანი ამერიკელებს დაესხმება თავს, შეერთებული შტატები 52 ირანულ სამიზნეს ძალიან სწრაფად და ძლიერად დაარტყამს.

– ირანი ძალიან თამამად იქცევა: იმის გამო, რომ მათი ტერორისტი ლიდერი სამყაროს ჩამოვაშორეთ, ისინი აშშ-ის გარკვეულ ობიექტებს უმიზნებენ. დაე, ეს ჩაითვალოს მუქარად: იმ შემთხვევაში, თუ ირანი ამერიკელებს ან ამერიკულ ობიექტებს დაესხმება თავს, ჩვენი სამიზნე 52 ირანული ადგილია და ამ სამიზნეებსა და თავად ირანს ძალიან სწრაფად და ძლიერად დავარტყამთ, – დაწერა ტრამპმა ტვიტერში.



მისივე თქმით, ამ 52 სამიზნიდან ზოგიერთი ძალიან მაღალი დონისაა და ძალიან მნიშვნელოვანია ირანისა და ირანული კულტურისთვის.

გუშინ, 5 იანვარს, ქასემ სოლეიმანის მკვლელობის შემდეგ, ირანის პარლამენტმა პირველი სესია გამართა.

– სიკვდილი ამერიკას! – სკანდირებდნენ ირანის პარლამენტის წევრები.

ირანის პარლამენტის თავმჯდომარე ქასემ სოლეიმანის მკვლელობას აშშ-ის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტი უწოდა და აშშ-ს ურჩია, იქამდე დატოვოს რეგიონი, სანამ რამე სერიოზული მოხდება.

– დონალდ ტრამპ, თქვენ სერიოზული დანაშაული ჩაიდინეთ. ეს თქვენთვის ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს, – განაცხადა მან.

გუშინვე სოლეიმანის ცხედარი ერაყიდან ირანის ქალაქ აჰვაზში გადაასვენეს. ცერემონიალს ათასობით ადამიანი დაესწრო. შავებში ჩაცმულ დემონსტრანტებს სოლეიმანის სურათები და ირანის დროშები ეკავათ.

– სიკვდილი ამერიკას! – სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები.

6 იანვარს სოლეიმანის ცხედარს ჯერ თეირანის უნივერსიტეტში, შემდეგ შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში გადაასვენებენ.

ბოლოს მას მშობლიურ ქალაქ ქერმანში დაკრძალავენ.

თეირანში ყველაზე მაღალ მეჩეთზე წითელი დროშა აღმართეს. ეს, ირანული ჩვეულების თანახმად, შურისძიების დროშაა.

– წითელი დროშა მანამ არ ჩამოიხსნება, სანამ სოლეიმანის სიკვდილის გამო შურს არ ვიძიებთ, – განაცხადა ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგის“ წარმომადგენელმა.

## ნატომ ერაყში ტრენინგები შეაჩერა



გენერალ სოლეიმანის ლიკვიდაციის შემდეგ ერაყში ვითარება გართულდა. ნატომაც ერაყის არმიისა და სპეცსამსახურების თანამშრომელთათვის ტრენინგები შეაჩერა.

– ჩვენი მისიის წევრების სიცოცხლე საფრთხეშია! ადამიანი კი ჩვენთვის უმაღლესი ღირებულებაა, – განაცხადა ერაყში ნატოს წარმომადგენელმა, გენერალმა უაიტმა.

ბაღდადში უცნობმა პირებმა რაკეტები დაუშინეს ე.წ. მწვანე ზონას, სადაც უცხო ქვეყნების საელჩოებია განთავსებული. ერთ-ერთი რაკეტა აშშ-ის საელჩოს მახლობლად დაეცა.

მსხვერპლი არ არის.

მეორე ტერაქტი ბაღდადის ჯამარის რაიონში მოხდა. აქ რაკეტების მსხვერპლია 5 ადამიანი.

## იტალიაში მანქანა ტურისტებში შევარდა

### 6 ადამიანი დაიღუპა

იტალიის ქალაქ ლუგატოში, რომელიც ავსტრიის საზღვართან მდებარეობს, ავტომანქანა გერმანელი ტურისტების 17-კაციან ჯგუფში შევარდა.



მომხდარის გამო 6 ადამიანი დაიღუპა, 11 მათგანი კი დაშავდა, რომლებიც სამხრეთ ტიროლის რეგიონის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

3 დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა. ერთ-ერთი პაციენტი, სანიტარიული ავიაციის გამოყენებით, ქალაქ ინსბრუკში გადაიყვანეს.

იტალიური მედიის ინფორმაციით, ავტომანქანის საჭეს პროვინცია ბოლჩანოს მკვიდრი, 28 წლის მამაკაცი მართავდა, რომელსაც, წინასწარი მონაცემებით, სისხლში ალკოჰოლის საკმაოდ გადაჭარბებული რაოდენობა დაუდგინდა. მომხდარის შედეგად ისიც დაშავდა და საავადმყოფოში შესაბამის დახმარებას უწევენ.

პოლიციის ინფორმაციით, იმის გამო, რომ ტურისტული ჯგუფის წევრების უმეტესობა ერთმანეთს არ იცნობდა და თან არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი საბუთები, გარდაცვლილთა იდენტიფიცირება გაძნელდა. პოლიციის ვერსიით, მომხდარი უბედური შემთხვევაა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ნიანგმა გაქცეულ ზებრას მუცელი გამოფატრა

კენიის მასაი-მარას ნაკრძალში ფოტოგრაფმა კამერაზე აღბეჭდა, თუ როგორ გამოფატრა მუცელი მშიერმა ნიანგმა ზებრას, რომელიც მისგან გაქცევას ლამობდა.



ცხოველისთვის გადაღებული უნიკალური კადრები ველური ბუნების ფოტოგრაფს, 33 წლის შაზმინ ჰუსეინ ბანკს ეკუთვნის.

– აღნიშნული შემთხვევა ნოემბერში მოხდა, როდესაც ჩვენ მდინარე მარას ნაპირთან ვიყავით დამალულები. თითქოსდა რამდენიმე ზებრას მდინარის მეორე ნაპირზე სურდა გადასვლა. ცხოველები მდინარესთან მივიდნენ და წყლის სმას შეუდგნენ. მოულოდნელად წყალში ნიანგი შევნიშნე, – იხსენებს ფოტოგრაფი.

მისი თქმით, ერთ-ერთი ზებრა კისრამდე წყალში იყო შესული და გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონდა. ზებრა ნაპირისკენ გამოქანდა, მაგრამ ნიანგმა მისთვის მუცელში კბილებით ჩაფრენა მოასწრო. მიუხედავად სასიკვდილო ჭრილობისა და გარეთ გადმოყრილი შინაგანი ორგანოებისა, ზებრამ ნაპირამდე მიღწევა მაინც მოახერხა.

– მან თითქოსდა ცხოვრებისეული გაკვეთილი დაგვანახა, რომ ყოველთვის ბოლომდე უნდა იბრძოლო, – აღნიშნა ბანკმა, – მეორე დილით, ის იქ უკვე აღარ იყო. ზებრა სხვა ცხოველების კერძად იქცა.

ფოტოგრაფი ყოყმანობდა გამოექვეყნებინა თუ არა ფოტოსურათი, რომელზეც ცხოველის შინაგანი ორგანოები ჩანდა. საბოლოოდ მან მაინც გადაწყვიტა მისი გამოქვეყნება.

– ეს ბუნებაა, აქ ყველაფერი ნამდვილია, – ხაზგასმით აღნიშნა ბანკმა.

## ხარმა მხედარს რქა კისერში გაუყარა

ავსტრალიაში როდეოს მონაწილე ხარმა ასეულობით შეშინებული მაყურებლის თვალწინ დააშავა.




შოუს ფარგლებში გამართულ როდეოზე, რომელიც სამხრეთ ავსტრალიის ქალაქ პორტ-ოგასტადან 200 კილომეტრში ჩატარდა, 25 წლის მამაკაცს ხარმა რქა კისერში გაუყარა. ცხოველი არ დაშავებულა, მხედარი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ბრიტანეთის ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ განაცხადა, რომ 42 გრადუსი ტემპერატურა, რომელში შოუ მიმდინარეობდა, ასეთი ღონისძიებებისთვის მიუღებელია. ცხოველთა დამცველმა რებეკა ეიერსმა აღნიშნა, რომ ასეთ ამინდში ცხოველები ტემპერატურულ სტრესს განიცდიან და ძნელია იმის დადგენა, თუ ამის გამო რამდენი დაშავდა და რა ხარისხით.

## მეგობრებმა მეთევზე ნიანგს კბილებიდან გამოგლიჯეს

ბრუნეიში ნიანგი პლანტაციის თანამშრომელს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



რეპტილიამ მამაკაცს ფეხზე იმ დროს უკბინა, როდესაც ის ორ მეგობართან ერთად პლაჟზე თევზაობით იყო დაკავებული. მის ყვირილზე მეგობრებმა მიირბინეს და ნიანგი აიძულეს ყბები გაეხსნა, შემდეგ კი გააგდეს.

ამ თავდასხმის შედეგად მამაკაცმა დაზიანება თეძოს არეში მიიღო. ის უახლოეს საავადმყოფოში მიიყვანეს, შემდეგ კი შემდგომი მკურნალობის გასაგრძელებლად მალაიზიის ქალაქ ლახად-დატუს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## ცოლ-ქმარს გადაგდებული მსხვილი თანხა დაუბრუნეს

ინგლისში ქალაქ მიდსომერ ნორტონის მკვიდრმა ცოლ-ქმარმა შემთხვევით ნაგავში გადააგდო ყუთი, რომელშიც 15 ათასი ფუნტი სტერლინგი ინახებოდა. ყუთი ნაგვის გადამამუშავებელ ცენტრში მოხვდა და მისმა თანამშრომლებმა ნაპოვნი წყვილს დაუბრუნეს. ამ ინფორმაციას სომერსეტისა და ეივონის საგრაფოს პოლიცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

პოლიციელების თქმით, მიმდინარე წლის ნოემბერში მათ ნარჩენების შემკრები და გადამამუშავებელი ცენტრის თანამშრომლებმა მიმართეს და შეატყობინეს, რომ მუყაოს კოლოფში ჩადებული „რაღაც უცნაური“ იპოვეს. ცენტრში სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ნახეს და გამოთვალეს ის ავტომობილი, რომლითაც კოლოფი ნაგავსაყრელზე მიიტანეს. ამის შემდეგ პოლიციელებმა მისი მფლობელი დაადგინეს.



ოჯახური წყვილის თქმით, ისინი გარდაცვლილი ნათესავის სახლს ალაგებდნენ, რომელიც ხშირად ფულს სხვადასხვა „უჩვეულო ადგილებში“ მალავდა. ისინი გაკვირვებულები დარჩნენ, როდესაც გაიგეს, რომ 15 ათასი ფუნტი სტერლინგი ნაღდი ფული გადააგდეს. საბოლოოდ ისინი მადლობელნი დარჩნენ, როგორც ნარჩენების გადამამუშავებელი ცენტრის, ისე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, მათ მიერ შემთხვევით გადაყრილი თანხის დაბრუნებისთვის.

## იშვიათი სახეობის ნიანგი ზოოპარკის თანამშრომელზე თავდასხმისთვის მოკლეს



შვეიცარიის ქალაქ ციურიხის ზოოპარკში უიშვიათესი სახეობის ფილიპინური ნიანგი მას შემდეგ მოკლეს, რაც მან ზედამხედველს უკბინა.

მტაცებელი რეპტილიის თავდასხმა დილით მოხდა, როდესაც ზოოპარკის თანამშრომელი ვოლიერს ალაგებდა. ის ფილიპინური ნიანგის სხვა ადგილზე გადაყვანას აპირებდა, რა დროსაც ის მას ხელში კბილებით ჩააფრინდა. მტაცებელი რამდენიმე წუთის განმავლობაში ყბებს არ ხსნიდა და ამის გამო მისი მოკვლა გახდა აუცილებელი.

ციურიხის ზოოპარკის დირექტორ ალექს რუბელის თქმით, მისი 30-წლიანი კარიერის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, რაც ცხოველი აგრესიული ქმედებისთვის მოკლეს. ნიანგის თავდასხმის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველომ ესპანეთთან წააგო, ნადალმა ჩვენი ჩოგბურთელები დააფასა



ავსტრალიაში დაიწყო ატპ თასი, რომელშიც საქართველოს ჩოგბურთელთა ეროვნული გუნდიც მონაწილეობს. ამ ტურნირზე მოხვედრა ნიკოლოზ ბასილაშვილის დამსახურებაა, რადგან რეიტინგი აქვს მაღალი. ატპ თასზე კი გუნდები სწორედ რეიტინგის მიხედვით შეირჩნენ. სამწუხაროდ, ბასილაშვილის გარდა, მაღალკვალიფიციური ჩოგბურთელები არ გვყავს, ამიტომაც ჩვენი გუნდი აუტსაიდერთა რიგებშია. სანდრო მეტრეველი, გიორგი ცივაძე, ალექსანდრე ბაკში და ზურა ტყემალაძე – ასეთია ჩვენების შემადგენლობა ახალ ტურნირში.

ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იაპონიის, ურუგვაისა და ესპანეთის ნაკრებები არიან. ჩვენების პირველი მეტოქე ესპანეთის ნაკრები იყო და, ბუნებრივია, ამ წყვილში ცენტრალური მატჩი ნიკოლოზ ბასილაშვილისა და რაფაელ ნადალის შეხვედრა გახლდათ.

ყველაფერი კარგად დაიწყო და ნიკამ ანგარიში ბრეიკ პოინტით გახსნა, თუმცა ნადალმა იქვე უპასუხა. როდესაც ანგარიში 3:3 გახდა, ინიციატივა ნადალმა იგდო ხელთ და სეტი 6:3 მოიგო.

მე-2 სეტი თანაბარი ორთაბრძოლით დაიწყო და ჩოგბურთელებმა 2-2 გეიმი მოიგეს. ნადალმა ისევ იგდო უპირატესობა, ჩვენებურს 2 მოწოდება აართვა და ანგარიში 5:2 გახდა ესპანელის სასარგებლოდ. ნადალი მოწოდებაზე დადგა და თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. აქ უკვე ნიკამ ზედიზედ 3 გეიმი (მათ შორის, 2 ნადალის მოწოდებაზე) მოიგო და სეტში ანგარიში გაათანაბრა 5:5.

თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობა ქართველის მხარეს გადავიდა, მაგრამ ნადალმა მოახერხა მობილიზება, კიდევ ერთი ბრეიკი შეასრულა და კვლავ მატჩზე ჩაწოდების უფლება მოიპოვა. ამჯერად უკვე რაფამ შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და საბოლოოდ 6:3, 7:5 ნადალის სასარგებლოდ.

ალექსანდრე მეტრეველი რობერტო ბაუტისტა-აგუტს შეხვდა. კლასში განსხვავება დიდი იყო – ჩვენებურმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს.

ესპანელის გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ბაუტისტა-აგუტმა პირველი სეტი მშრალი ანგარიშით მოიგო (6:0). მეორე სეტიც აგუტის სრული უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ შეხვედრაც მისი გამარჯვებით დასრულდა 6:0, 6:0.

წყვილთა შეხვედრა ფორმალობა გახლდათ. ესპანელთა მხრიდან პაბლო კარენო ბუსტა და ფელისიანო ლოპესი ვიხილეთ, რომლებმაც 2 სეტში ალექსანდრე ბაკშისა და გიორგი ცივაძის დუეტს 6:3, 6:4 მოუგეს.

გეტყვით იმასაც, რომ ნადალისა და ბასილაშვილის შეხვედრის დასრულების შემდეგ რაფა საქართველოს ნაკრების წევრებისკენ წავიდა და მათ სათითაოდ მიესალმა. ამ ჟესტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მსოფლიოში ის ძალიან დადებითად შეფასდა.

ნადალმა ესპანელთა კაპიტან ფრანცისკო როიგისთან ერთად მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა და ქართველების მიმართ ქათინაურები არც იქ დაუკლია.

**რაფაელ ნადალი:**

– გამარჯვება ძალიან პოზიტიური იყო როგორც ჩემთვის, ისე გუნდისათვის. 3:0 გავიმარჯვეთ და ეს კარგი იყო. ჩემთვისაც, პერსონალურად კარგი დღე გამოვიდა. შეხვედრას ვაკონტროლებდი, ძალიან კარგი სტარტი გამომივიდა. 6:3-ის მერე 5:2-ს ვიგებდი ისეთი კარგი ჩოგბურთელის წინააღმდეგ, როგორიც ნიკოლოზია. ამის შემდეგ მან რამდენიმე კარგი გეიმი ჩაატარა, მე შეცდომები დავუშვი და შეხვედრაც უფრო რთული გახდა. ეს წლის პირველი მატჩი იყო, კარგი რიტმი და პოზიტიური შედეგი ძალიან დამეხმარება. თამაშით კმაყოფილი ვარ, პირველი შეხვედრაში ასეთ რიტმში, ისეთი კარგი მოთამაშის დამარცხება, როგორიც ნიკოლოზია, მთელი სეზონის მანძილზე დადებითად გამყვება.

ჩვენი ჯგუფის მე-2 მატჩში იაპონიამ ასევე 3:0 დაამარცხა ურუგვაის ნაკრები. ატპ თასზე მომდევნო შეხვედრას საქართველოს ეროვნული გუნდი სწორედ იაპონელთა წინააღმდეგ გამართავს, რომელსაც ტრავმირებული კეი ნიშიკორი არ ეყოლება.

# პაპუნაშვილი პანათინაიკოსს უახლოვდება



დიდი შანსია, საქართველოს ეროვნული ნაკრების შემტევმა გიორგი პაპუნაშვილმა კარიერა ელადაზე გააგრძელოს. ბერძნული მედიის ცნობით, ჩვენებურის შეძენით პანათინაიკოსი დაინტერესდა.

როგორც ირკვევა, პანათინაიკოსის სპორტული დირექტორი ხავი როკა ესაუბრა სარაგოსას ხელმძღვანელებს და გარიგების საკითხები განიხილეს.

სხვათა შორის, პაპუნაშვილი ძალიან ახლოს იყო სანტარდერის რასინგში გადასვლასთან, მაგრამ ბოლოს ფინანსურ დეტალებში უთანხმოება წარმოიშვა.

ჩვენებურმა ასევე უარი თქვა კარიერის ამერიკაში გაგრძელებაზე. პაპუს გადაბირებით პორტუგალიური ჟილ ვისენტე და რამდენიმე ლა ლიგა 2-ის კლუბია დაინტერესებული. ესენი არიან: მირანდესი, ექსტრემადურა და ლუგო.

აქედან გამომდინარე, ქართველის საბერძნეთში გადასვლა უფრო რეალური ჩანს.

პანათინაიკოსს რთული პერიოდი უდგას. ქვეყნის 20-გზის ჩემპიონი და 18-გზის თასის მფლობელი, რომელსაც ჩემპიონთა თასის ფინალშიც კი აქვს ნათამაშევი, საბერძნეთის სუპერლიგაში მე-7 ადგილზეა და მე-3 პოზიციაზე მყოფ ათენის აეკ-ს 6 ქულით ჩამორჩება.

მიმდინარე სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ფედერიკო მაკედაა. მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა ფორვარდმა მიმდინარე სეზონში 5 გოლი შეაგდო. ბომბარდირთა დავაში მაკედას 1 გოლით უსწრებს პანიონიოსის ქართველი თავდამსხმელი ბაჩანა არაბული.

პაპუნაშვილის ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში ერთ დროს ევროპული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი და ქართველი შემტევი ბერძნული კლუბის შედეგიან თამაშზე იქნებიან ორიენტირებულნი.

# დორტმუნდი გაძლიერებას აპირებს, ატლეტიკოს კავანი მიჰყავს



დორტმუნდის ბორუსია გაძლიერებას აგრძელებს და ამისთვის ტურინის იუვენტუსთან აქვს ჭიდილი. ჯერ იყო და დორტმუნდელებმა ზალცბურგიდან ერლინგ ჰაალანდი შეიძინეს, რომლისთვისაც ბრძოლაში სწორედ იტალიურ გრანდს აჯობეს. ეს ზამთრის სატრანსფერო სეზონის მთავარი გარიგება იყო, მაგრამ გერმანული კლუბი ამით არ კმაყოფილდება და ახლა დაცვის ხაზის გაძლიერებას გეგმავს. ბორუსიას იუვენტუსის მცველის მერიჰ დემირალის ყიდვა სურს.

დორტმუნდმა უკვე მიმართა იუვეს კონკრეტული წინადადებით და ტურინელებს 21 წლის თურქ მცველში 40 მილიონ ევროს სთავაზობენ.

თუ ტრანსფერი შედგება, დემირალი დორტმუნდის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდება. აქამდე, დორტმუნდს ყველაზე მეტი თანხა მატს ჰუმელსში აქვს გადახდილი – 30,5 მილიონი ევრო.

იუვემ დემირალი ზაფხულში შეიძინა. თურქი უნიჭიერეს მცველად მიიჩნევა, მაგრამ ტურინულ გრანდში სათამაშო პრაქტიკა ნაკლებად აქვს და მოედანზე იშვიათად ჩნდება. მიუხედავად ჯორჯო კიელინის ტრავმისა, მან მხოლოდ 5 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა – მაურიციო სარი ლეონარდო ბონუჩისთან ერთად მატეის დე ლიხტს ენდობა.

ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ კიელინის სარეაბილიტაციო პროცესი იმაზე კარგად ვითარდება, ვიდრე ამას სამედიცინო შტაბი ელოდა.

აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში კვლავ დაბრუნდა დანიელე რუგანის გასხვისების საკითხი, რომლის მიმართაც ინტერესი ლონდონის არსენალსა და ლესტერს გააჩნიათ. გამოდის, რომ თუ ლესტერმა დემირალისთვის ბრძოლა წააგო, ალტერნატივად რუგანის საკითხი განიხილება.

თავის მხრივ, იუვენტუსი მზადყოფნას გამოთქვამს, იტალიელ უკანახაზელს 25 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელიოს.

თავად იუვენტუსი კი პოლ პოგბას საკითხს არ ეშვება. მანჩესტერ იუნაიტედს ახლა საკადრო პრობლემები აქვს. პოგბა გუნდს ტრავმის გამო ერთი თვით ჩამოშორდა. გარკვეული სახის დაზიანება აქვს ტომ მატკომინის და, ბუნებრივია, ხელმძღვანელობას გარკვეული სვლების გაკეთება მოუწევს.

ერთ-ერთ აქტიურ ვარიანტად ემრე ჯანი სახელდება, რომელსაც იუნაიტედს დიდი ხანია უკავშირებენ. დიდი ალბათობით, გარიგება პოგბა – 60 მილიონი + ჯანი არ შედგება, მაგრამ იუვე არ ნებდება, რადგან გერმანელის ინგლისში გადაბარგება რეალურია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სარისთვის იგი უსარგებლო მოთამაშეა.

იმავე ჯანთან დაკავშირებით ტურინელთა ალტერნატიული გზა პსჟ ნახევარმცველის ლეანდრო პარედესის ტრანსფერში ჩართვაა, მაგრამ აქ მხარეები შეთანხმების მიღწევას მოთამაშეების შეფასების თვალსაზრისით ვერ აღწევენ.

კერძოდ ლეონარდოს იუვენტუსის მხრიდან 5-10 მილიონის დამატება სურს, რაზეც ბიანკონერი უარს აცხადებს. ფაბიო პარატიჩი არ გეგმავს პარედესის სანაცვლოდ რამე თანხის გადახდას და მზად არის, გარიგება მხოლოდ პირდაპირი ბარტერით გააფორმოს.

სანამ გუნდები გარიგებების მოლოდინში არიან, მიუნხენის ბაიერნმა გელზენკირხენის შალკეს მეკარე ალექსანდერ ნიუბელი გადაიბირა. ბავარიული გრანდი 23 წლის კიპერს 5-წლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა, რომელიც ძალაში ზაფხულიდან შევა.

ნიუბელი ახალ გუნდში უფასოდ გადავა. შეგახსენებთ, რომ გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილმა მეკარემ გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი დეკემბერში თქვა.

თუმცა, ნიუბელი ბაიერნში მეორე მეკარე იქნება – პირველი ნომერი იქ მანუელ ნოიერია, რომელსაც მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი 2021 წლამდე აქვს გაფორმებული.

და მაინც, სატრანსფერო პერიოდში მეგა-ტრანსფერები ბოლო დროს იშვიათად ან ძალიან ცოტა ხდება, მაგრამ ეს ზამთარი, შესაძლოა, გამონაკლისი იყოს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ პარი სენ-ჟერმენის ურუგვაელი ცენტრფორვარდი ედინსონ კავანი მადრიდის ატლეტიკოში გადავა.

32 წლის თავდამსხმელს დიეგო სიმეონეს გუნდში გადასვლა თავადაც სურს და თანაც, ახლავე. კავანის პსჟ-სთან კონტრაქტი მხოლოდ ზაფხულამდე აქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ პარიზელებს მის სანაცვლოდ გარკვეული თანხის მიღების ბოლო შანსი აქვთ.

მედია იმასაც წერს, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკებები დიდი ხანია დაიწყო და შეთანხმებაც თითქმის მიღწეულია. დარჩა მხოლოდ შეთანხმება კავანისა და ატლეტიკოს შორის, რადგან ურუგვაელი იმაზე მეტ ხელფასს ითხოვს, ვიდრე მადრიდელებს აქვთ გათვალისწინებული.

მიმდინარე სეზონში ედინსონ კავანიმ პსჟ-ში მხოლოდ 11-ჯერ ითამაშა. 456 წუთში მან მხოლოდ 3 გოლის გატანა შეძლო. ბოლოს კი ტრავმირებული იყო და ძირითად შემადგენლობაში ადგილი მაურო იკარდიმ დაიმკვიდრა. პარიზელთა მთავარი მწვრთნელი თომას ტუხელი აცხადებს, რომ კავანის შენარჩუნების იმედი აქვს, მაგრამ ფრანგულ და ესპანურ პრესაში იწერება, რომ ტრანსფერი გადაწყვეტილი ამბავია.

## შედეგები

### 4 იანვარი

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ეიბარი ........................ 1:0
ხეტაფე-რეალი ........................ 0:3
ატლეტიკო-ლევანტე ........................ 2:1
ესპანიოლი-ბარსელონა ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 12 | 4 | 3 | 49-23 | 40 |
| 2.რეალი | 19 | 11 | 7 | 1 | 36-12 | 40 |
| 3.ატლეტიკო | 19 | 9 | 8 | 2 | 22-12 | 35 |
| 4.სევილია | 19 | 10 | 5 | 4 | 24-18 | 35 |
| 5.სოსიედადი | 18 | 9 | 4 | 5 | 32-23 | 31 |
| 6.ვალენსია | 19 | 8 | 7 | 4 | 29-25 | 31 |
| 7.ხეტაფე | 19 | 8 | 6 | 5 | 26-20 | 30 |
| 8.ბილბაო | 19 | 7 | 8 | 4 | 20-13 | 29 |
| 9.ლევანტე | 19 | 8 | 2 | 9 | 26-29 | 26 |
| 10.ვილიარეალი | 18 | 7 | 4 | 7 | 31-25 | 25 |
| 11.გრანადა | 18 | 7 | 3 | 8 | 24-25 | 24 |
| 12.ოსასუნა | 18 | 5 | 8 | 5 | 25-24 | 23 |
| 13.ბეტისი | 18 | 6 | 5 | 7 | 25-31 | 23 |
| 14.ვალიადოლიდი | 19 | 4 | 9 | 6 | 17-23 | 21 |
| 15.ალავესი | 18 | 5 | 4 | 9 | 19-28 | 19 |
| 16.ეიბარი | 19 | 5 | 4 | 10 | 18-29 | 19 |
| 17.მალიორკა | 18 | 4 | 3 | 11 | 18-32 | 15 |
| 18.ლეგანესი | 19 | 3 | 5 | 11 | 16-30 | 14 |
| 19.სელტა | 18 | 3 | 5 | 10 | 15-28 | 14 |
| 20.ესპანიოლი | 19 | 2 | 5 | 12 | 14-36 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ფუენლაბრანდა-ლას პალმასი ......... 0:0
პონფერადინა-კადისი ........................ 0:0
ლუგო-ალმერია ........................ 0:4
ტენერიფე-ალბასეტე ........................ 4:2
მირანდესი-რასინგი ........................ 0:0
ელჩე-უესკა ........................ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ავიში-სანტა კლარა ........................ 0:1
ბოავიშტა-პორტიმორენშე ........... 1:1
ბელენენსეში-ბრაგა ........................ 1:7
გიმარაეში-ბენფიკა ........................ 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-ვოლოსი ........................ 1:2
არისი-პაოკი ........................ 4:2
ატრომიტოსი-ასტერასი ................ 2:1

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## სკანვორდი



1. ..., იგრეკი, ზეტი; 2. ხეთების ქალღმერთი; 3. რაიმე უნარის დაჩლუნგება, დაკარგვა; 4. ბიბლიური პერსონაჟი; 5. ხელოვნური ბოჭკო; 6. ჟან რენოს კინოროლი; 7. ნიგერიის ფულის ერთეული; 8. ქალაქი იაპონიაში; 9. მშვილდით სასროლი ჯოხი; 10. ტურგენევის მოთხრობა; 11. ანტილოპების გვარის ცხოველი; 12. ლოტოს მსგავსი თამაში; 13. ამონი; 14. ამერიკული თოჯინა; 15. მემამულე თურქეთში (ძვ.); 16. ცირკის მოედანი; 17. სატურნის თანამგზავრი; 18. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 19. პირველი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემა; 20. თაღი; 21. განსჯის პროდუქტი; 22. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 23. იაპონიის ფულის ერთეული; 24. მდინარე აზიაში; 25. სასიმინდე; 26. ღვინის ობი; 27. ქსენოფონტის თხზულება; 28. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 29. საარჩევნო ყუთი; 30. ფრანგული საწებელი; 31. მოსწავლის ნივთი; 32. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი; 33. კომში; 34. ... ვალონე.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფეიხოა; 2. ღვინიო; 3. პამფლეტი; 4. დილეგი; 6. პაპარაცი; 8. თრომბი; 11. სინაგოგა; 12. ბეხუარი; 16. ფანზა; 17. ჰიჯრა; 18. არაყი.

**თარაზულად:** 1. ფარღული; 5. ტემპი; 7. ვალონია; 9. ხილნარი; 10. ტემპერა; 13. ბოლტონი; 14. კიბუცი; 15. ცემი; 19. გუდიარი; 20. რისლინგი; 21. დელტაპლანი; 22. ნადული.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მარსელო; 2. აყირო; 3. სკანსენი; 4. მურტალო; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. თარხანი; 14. ლაგუნა; 15. ზაქი; 17. ფეოლა; 18. ზღვა.

**თარაზულად:** 6. ბაყაყი; 7. აკაპულკო; 8. ასკერი; 10. ტარტუ; 11. როსტომიანი; 13. კლაუზულა; 16. სადაფი; 19. ღრმაღელე; 20. ზარზუელა.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.8672 |
| ევრო | 3.1918 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.7489 |
| 100 რუსული რუბლი | 4.6208 |

## ამინდის პროგნოზი 6 იანვრისთვის




## პლაჟზე უგზო-უკვლოდ დაკარგული მეთევზის ფეხი იპოვეს



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის სანაპიროზე ოკეანემ დაკარგული მყვინთავის ფეხი გამორიყა, რომელიც წყალქვეშა თევზაობით იყო გატაცებული.

ნოემბერში კვინსლენდის შტატის 38 წლის მცხოვრები ენდრიუ პეიჯი მეგობრებთან ერთად ქალაქ ელიოტ ჰედსის რაიონში ფრიდაივინგით იყო დაკავებული (წყალქვეშ ცურვა სუნთქვის შეკავებით) და წყალქვეშ გაუჩინარდა. მისმა მეგობრებმა სამაშველო სამსახური და პოლიცია გამოიძახეს. სამძებრო ოპერაცია მთელ კვირას გაგრძელდა, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია.

დაახლოებით სამი კვირის შემდეგ ელიოტ ჰედსიდან 750 კილომეტრში, ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ მაილსტომის პლაჟზე, ადამიანის ფეხი აღმოაჩინეს. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ნაპოვნი სხეულის ნაწილი ენდრიუ პეიჯს ეკუთვნოდა.

– ჩვენ არ ვიცით, რა დაემართა ენდრიუს. ის შესაძლოა თოკებში გახლართულიყო, როდესაც მსხვილ თევზს იჭერდა. მის ფეხზე აღმოჩენილი არ არის არც ჭრილობა და არც რამე ბრძოლის კვალი, – განაცხადეს მისმა მშობლებმა, – ის გამოცდილი ფრიდრაივერი და მეთევზე იყო, ოკეანეზე შეყვარებული. როდესაც დიდი ხნის განმავლობაში წყლისგან შორს იმყოფებოდა, ხუმრობდა, რომ ლაყუჩები გამოუშრა.

პოლიციის ვერსიით, პეიჯი ზვიგენის მსხვერპლი გახდა.

## ლოქო მანქანას დაეცა და საქარე მინა ჩაუმსხვრია



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ ბოფორტში ფრინველს ლოქო გაუვარდა და გზაზე მიმავალ ავტომობილზე დაეცა.

რეზა უოლსტონს თავისი ქალიშვილი სახლში მიჰყავდა, როდესაც შენიშნა ფრინველი, რომელსაც ბრჭყალებში მოზრდილი ლოქო ეჭირა.

– ეს იმ მომენტების რიცხვს განეკუთვნებოდა, როდესაც თითქოს შენელებულ კადრებს უყურებ, – განაცხადა ქალმა, – ვუყურებ, თევზია, შემდეგ კი ვხედავ, თუ როგორ უვარდება ის ბრჭყალებიდან ფრინველს.

ლოქო ავტომობილს დაეცა და საქარე მინა ჩაუმსხვრია.

– ნამსხვრევებით მთელი წინა სავარძელი გაივსო და მუხლებზეც დამეყარა, – ყვება ქალი. ამ დროს მისმა გოგონამ თავის პლანშეტს თვალი მოსწყვიტა და უთხრა: „ფანჯარა გაქვს ჩამსხვრეული“, შემდეგ კი ისევ თავის პლანშეტს მიუბრუნდა.

უოლტსონი მანქანიდან გადმოხტა და ლოქოს ძებნა დაიწყო.

– ვფიქრობდი, რომ თევზი აუცილებლად უნდა მომეძებნა, რომელიც ჩემს მანქანაზე დაცემის შემდეგ გადავარდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხდარს არავინ დამიჯერებდა, – განმარტა ქალმა. ჩამსხვრეული საქარე მინის გამოცვლაში ქალს 250 დოლარის გადახდა მოუხდა, რომელიც სადაზღვევო მინიმუმში არ შედიოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

კაცი ქალს ეუბნება:

– წუხელის დამესიზმრა, რომ მთელი ღამე ველოსიპედით ვსეირნობდი.

– მე კი დამესიზმრა, რომ მთელი ღამე სექსი მქონდა...

– ჩემთან?

– არა, შენ სადღაც წახვედი ველოსიპედით.

•••

ბავშვი ბიძას ეუბნება:

– მადლობა, გივი ბიძია, საყვირი, რომ მაჩუქე.

– არაფერს, სულ რაღაც 10 ლარი გადავიხადე.

– სამაგიეროდ, ყოველ ჯერზე 20 ლარს მჩუქნიან, რომ არ დავუკრა...

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– თქვენი ბავშვი ასე რატომ ღრიალებს, რა უნდა?

– რა და უნდა და ღრიალებს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ პსიქოთერაპევტთან ვიყავი და მირჩია, რომ ღამით, ძილის წინ ყველა პრობლემა გარეთ დავტოვო...

– მერე?

– ვერაფრით დავიყოლიე ცოლი და სიდედრი, რომ ღამე ქუჩაში გაეთიათ.

•••

მოსწავლე მასწავლებელს მიმართავს:

– მასწავლებელო, დღეს ჩემი დაბადების დღეა და იქნებ მათემატიკის ტესტი სხვა დღისთვის გადაგვეტანა?

– იცი რა, შენი დაბადების დღისგან განსხვავებით, ტესტი მათემატიკაში წინასწარ იყო დაგეგმილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნათია დუმბაძემ და მასტერმა მესამე დუეტი ჩაწერეს



მომღერლებმა ნათია დუმბაძემ და მასტერმა ახალი, რიგით მესამე დუეტი ჩაწერეს.

„ფიფქები“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც საახალწლო თემატიკაზეა და მსმენელში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მასტერისა და ნათია დუმბაძის პირველი დუეტი „არ უყურო დროს“ ზაფხულის უკონკურენტო ჰიტი გახდა, მეორე დუეტმა „ნეკი ნეკისა“ არანაკლები მოწონება დაიმსახურა. რაც შეეხება მესამე დუეტს, მისი კარაოკე ვერსია ინტერნეტში უკვე გამოჩნდა და ათასობით ნახვა და გაზიარება აქვს.

## ნოე სულაბერიძე და ჯანეტ ქერდიყოშვილი გოგონას მშობლები გახდებიან



პროდიუსერი ნოე სულაბერიძე და მისი მეუღლე ჯანეტ ქერდიყოშვილი გოგონას მშობლები გახდებიან.

ნოესთვის ეს მესამე შვილია. მას პირველი ქორწინებიდან – ბიჭი, ხოლო მეორე ქორწინებიდან გოგონა ჰყავს.

## ნინი დედალამაზიშვილი დაინიშნა



ჯგუფ „მგზავრების“ ყოფილი წევრი ნინი დედალამაზიშვილი დაინიშნა. ახალი წელი მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყო და საყვარელმა ადამიანმა ხელი სთხოვა.

ნინის რჩეული სანდრო მარგველაშვილია. იგი დედალამაზიშვილებს სახლში ესტუმრა. წყვილის ნიშნობა ვიწრო წრეში, უახლოესი ადამიანების გარემოცვაში შედგა.

ნინის პირველი ქორწინებიდან გოგონა – ელენე ყიფიანი ჰყავს.

## ხატია ბუნიათიშვილმა ახალი წლის პირველივე დღეს კონცერტი გამართა



ქართველმა პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა ახალი წლის პირველივე დღეს კონცერტი გამართა.

მისი შემოქმედების გულშემატკივრები პირველ იანვარს შვეიცარიაში შეიკრიბნენ, სადაც პიანისტმა დამსწრე საზოგადოება თავისი ნიჭიერებით კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა.

ანშლაგით ჩატარებული კონცერტის დასასრულს ხატია ბუნიათიშვილი მადლიერმა მაყურებელმა ხანგრძლივი აპლოდისმენტებითა და ოვაციებით დააჯილდოვა. ათასობით მსმენელმა არც ავტოგრაფის მისაღებად რიგში დგომა დაიზარა და ქართველი პიანისტის ხელმოწერილი ალბომის მფლობელი გახდა.

## მაიკო კაჭკაჭიშვილი და ლევან ლაზარიშვილი რიგდებიან



კომპოზიტორმა მაიკო კაჭკაჭიშვილმა და მომღერალმა ლევან ლაზარიშვილმა 10-წლიანი განშორების შემდეგ შერიგება გადაწყვიტეს. წყვილს ტყუპი ბიჭები – დათუნა და ზუკა ჰყავთ.

ინფორმაცია ამის შესახებ მაიკომ თავად გაავრცელა და უამრავი ადამიანისგან მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო:

– 10 წლის განშორების შემდეგ, 2020 წელს ვურიგდები ქმარს. გაგიხარდათ?

წავა კაი „მუსიკების“ წერები.

გილოცავთ კიდევ ერთხელ.

## დავით წერედიანი მახათას პანთეონში დაკრძალეს



პოეტი და მთარგმნელი დავით წერედიანი მახათას პანთეონში დაკრძალეს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწილი მის მთაწმინდაზე ან დიდუბის პანთეონში დაკრძალვას ითხოვდა, ხელისუფლებამ მათი თხოვნა არ გაითვალისწინა.

შემოქმედთან გამომშვიდობება საზოგადოებას სიონის ტაძარში შეეძლო. როგორც პუბლიცისტმა ზაურ ნაჭყებიამ აღნიშნა, უნიჭიერესი ადამიანის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად ძალიან ცოტა ადამიანი მივიდა:

– საოცრად გულნატკენი და გულდათუთქული დავბრუნდი სიონის ტაძრიდან, საიდანაც დაახლოებით ერთი საათის წინ უნიჭიერესი ქართველი პოეტი და უზადო მთარგმნელი, მტკიცე ქართული სულითა და იშვიათი თავმდაბლობით გამორჩეული თანამემამულე, დავით წერედიანი გამოასვენეს!

ჩემი გულისტკივილი ადამიანთა გულგრილობას უკავშირდება, რომელიც თანდათან ძვალ-რბილში გაგვიჯდა და თანაგრძნობისა და თანალმობის უნარს გვაკარგვინებს.

იმდენი ხალხი, რამდენიც წერედიანის გამოსამშვიდობებლად ტაძარში მოვიდა, საქართველოს ყველაზე მიყრუებული სოფლის, ყველაზე უჩინო მიცვალებულის დაკრძალვაზეც მინახავს.

მთავრობაზე რომ არაფერი ვთქვათ, სირცხვილი ქართველ ინტელიგენციას, განსაკუთრებით, შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა და საშუალო თაობას, რომელმაც თავი არ შეიწუხა და სათანადოდ არ უჭირისუფლა ამ ბუმბერაზ ადამიანს, არადა, ასეთები ხომ იშვიათად იბადებიან!

ეხ, როგორ უნდა გავამართლო, მაგრამ სწორი ყოფილა სააკაშვილი, როცა ქართველი ინტელიგენციის ჩარეცხვა მოინდომა!

თუმცა, რა შუაშია სააკაშვილი – როგორც ჩანს, თვითონ ინტელიგენცია მზადაა ჩასარეცხად!

ძალიან არ მინდოდა, ასეთი მწარე სტატუსი საახალწლო დღეებში დამეწერა, მაგრამ, ეტყობა, გულს გაჩუმებას მართლაც ვერ უბრძანებ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 6 იანვრისთვის



**ვერძი** – იაქტიურეთ. გაგიმართლებთ ყველა სფეროში, განსაკუთრებით – პროფესიონალურში. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები. **კურო** – მშვიდი დღეა, რომელიც გპირდებათ ურთიერთობების არეალის გაფართოებას, ცოდნის შეძენას, ახალი ინფორმაციის მიღებას, რომელსაც თქვენ სასარგებლოდ წარმატებით გამოიყენებთ. **ტყუპები** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ გადაიღლებით. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. დროა, ოჯახური ურთიერთობები ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. იაზროვნეთ პოზიტიურად, რათა შედეგიც პოზიტიური მიიღოთ. **ქალწული** – ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობა ისადგურებს. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. შესაძლოა, ახალი სამსახურიც იშოვოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **ღრიანკალი** – დღეს მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. შესაძლოა, ცხოვრების სტილი რადიკალურად შეიცვალოთ. **მშვილდოსანი** – ოჯახში ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდეთ. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. მიენდეთ ინტუიციას. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ინტიმურ სფეროში. გადაწყვეტილება თამამად მიიღეთ. **მერწყული** – გელით საინტერესო შეხვედრა. მიღებული ინფორმაცია გაგახარებთ და რწმენით აღგავსებთ. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. ზომიერების დაცვა არ დაგავიწყდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. კბილის ექიმი; 8. პირობითი ასოითი ნიშანი; 9. ყვავილთა დედოფალი; 10. საიზოლაციო მასალა; 11. კერძო სასტუმრო; 15. გაწმენდა მინარევებისაგან; 17. ბუნებრივი ცოცხალი ნიმუში; 19. ოპტიკური მოვლენა, ნათელი საგნების ბნელში დიდად გამოჩენა; 21. ოფიციანტი ევროპის ზოგ ქვეყანაში; 22. ზოგი ცხოველის დამსგავსება იმავე ადგილზე მცხოვრებ სხვა ცხოველთან; 23. ბერძნული სიმებიანი საკრავი.

**შვეულად:** 1. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 2. თეორიული მექანიკის ნაწილი; 3. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები; 4. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. მუსიკალურ-სცენური კომედიური ხასიათის ფილმი; 8. დახურული მსუბუქი ავტო; 12. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 13. იუპიტერის თანამგზავრი; 14. უნებისყოფობა; 16. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 18. ერთი იდეით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი; 20. ქიმიური ელემენტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

